



სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
№1-2 (349-350) 2022 წელი

გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი –
ყველაზე მოტივირებული ახალგაზრდების აჩრევანი



ბიზნისი უნივერსიტეტი



ანდრეასი იუსტიციის მეორე სამედიცინო განათლების ტრენინგის და თანამედროვე, მაღალი სტანდარტების შესაბამისი, მოდერნიზებული სამედიცინო განათლების საუკეთესო სინთეზი;

IAF და IAS-ის აკრედიტაციის – ISO-ს 9001:2015 – ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატით დადასტურებული ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტით; მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მეტა-მეტის სისტემით მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი;

საკუთარი მაღალტექნოლოგიური კლინიკების ქსელი (3 მრავალპროფილიანი და 3 სპეციალური კლინიკა);

მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო მოზილობის პროგრამები (ERASMUS+, HORIZON, MEVLANA...) განათლების დიპლომათად, დიპლომის შედგენა, სანაბნის სერვისი და სარეკლამო საფუძვანობა;

მოტივირებული და წარმატებული ახალგაზრდების აჩრევანი მსოფლიოს 81 ქვეყნიდან

გაიხანი უნივერსიტეტი



ჩემთვის დიდი პატივია, მოგმართოთ თქვენ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დირექტორს ახალგაზრდებს, მათ, ვისაც აქ სწავლის სურვილი გაქვთ! ეს, უდავოდ, პატივსაცემი მიზანი და სერიოზული განაცხადია!

გისურვებთ წარმატებით დააგვირგვინოთ თქვენი ჩანაფიქრი და გამარჯვებით გველოთ ამ გზაზე!

მინდა გაგაცნოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ჩემი და ქართველ ექიმთა აბსოლუტური უმრავლესობის, მათ შორის, უცხოეთში მოღვაწე და მსოფლიოში ცნობილი ექიმების, მშობლიური კერა - უნივერსიტეტი, რომელიც, იმედია, თქვენი Alma Mater-იც გახდება! პროფესიული საქმიანობის დიდ სარბიელზე გასვლაზე, თქვენ ხომ აქ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უნდა დაიწყოთ საკუთარი მომავლის შენება. არა მარტო როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, არამედ როგორც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულიც, მომავალი სტუდენტების წინაშე ყოველთვის საამაყი წარვადგენ ჩემს Alma Mater-ს - უმაღლესი სამედიცინო განათლების უძველეს, ტრადიციულ და ძირითად კერას საქართველოში. უმაღლესი სამედიცინო განათლება ჩვენს ქვეყანაში განვითარების ასწრაფების ისტორია აქვს. ამ ისტორიის სათავეებიდან იწყება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „აკადემიური ბიოგრაფია“.

დიდი და საპატიოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანდაცვაში და ცხელი უზრუნველყოფის საქმეში. ათეულათასობით კურსდამთავრებული დღეს ბევრი კლინიკისა და დაწესებულების წამყვანი სპეციალისტია საქართველოში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში. მათი წარმატებული საქმიანობის საძირკველს კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული განათლება ქმნის, რომლის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპებია:

- ❖ ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი;
- ❖ დემოკრატიულობა;
- ❖ მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა;
- ❖ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, 2021 წლის ივნისში, ყველა სტანდარტზე უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაციის მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. აქვე აღვნიშნავ, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMC - Educational Commission For Foreign Medical Graduates) ერთობლივი გადამწვდებილობით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

ამრიგად, დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე ხორციელდება მხოლოდ უმაღლესი შეფასების მქონე, აკრედიტებული ერთ-საფეხურიანი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

მნიშვნელოვანი მიღწევაა ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 - ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატს მოიპოვა. ეს დასტურია იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სივრცეში ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით მიმდინარეობს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 - ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილებიანი

წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირებაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

დიდი აღიარებაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის 23 მაისს დაფუძნდა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა - საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც არა მხოლოდ თსუ-ის, არამედ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე. საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ძირითადი მიზანი რეგიონის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სამედიცინო განათლების ექსპერტების და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის სამედიცინო განათლების თანამედროვე ტენდენციების გაზიარება და თემატური ტრენინგების ჩატარებაა.

2009/2011 წლებში მონაწილეობა მივიღეთ ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში (MEDINE-2). საყურადღებოა, რომ ევროკავშირის არანევრი ქვეყნების უნივერსიტეტებიდან ამ ჯგუფში მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ანკარის უნივერსიტეტის პროფესორები მუშაობდნენ.

სწავლების მაღალ დონეს უზრუნველყოფს ისიც, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს საკუთარი მძლავრი კლინიკური ბაზები აქვს (3 ჰოსპიტალი და 3 სტომატოლოგიური კლინიკა). ამ ბაზების გარდა, ჩვენი სასწავლო დეპარტამენტები სხვადასხვა კლინიკაშია განთავსებული. მინდა გამოგიყვინ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც განთავსდა თსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ფსიქონევროლოგიური კლინიკის მშენებლობისთვის. ეს იქნება თსუ-ის საკუთარ კლინიკურ ბაზაზე ქსელში კიდევ ერთი ახალი კლინიკა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაოები. 2021 წელს დასრულდა თსუ-ის გივი ჟვანია სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკის მეორე კორპუსის მშენებლობა, რომელიც ამ ეტაპზე ექსპლუატაციაშია მიღებული; დამთავრდა თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის შერეობაზე მიშენება. გაიზარდა სანოლფონდი და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა კლინიკების ინფრასტრუქტურას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც კლინიკების სრულფასოვანი ფუნქციონირება თუ სტუდენტებისთვის განათლების მიღების თვალსაზრისით, ისე პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით და, ზოგადად, ქვეყნისთვისაც.

მაღე დასრულდება მეორე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია. აქ საკმაოდ ფართო მასშტაბის სამუშაოები ჩატარებულია, რის შედეგადაც ეს შენობა გადაიჭრა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რეაბილიტაციამდე, უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მიმდევარეობის გამო, შეუძლებელი იყო შენობის ექსპლუატაცია.

მინდა ისიც გაცნობოთ, რომ თსუ-ის კლინიკების ეზოებსა და სასწავლო კორპუსებთან დასრულდა ახალი რეკრეაციული ზონების მოწყობა, სადაც დასვენება ნამდვილად სასიამოვნო გახდება ყველასთვის.

ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების დასტურია ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიმზიდველია დღეს უკვე მსოფლიოს 80 ქვეყნის 2900-ზე მეტი ახალგაზრდისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ყოველი მესამე სტუდენტი საერთაშორისო სტუდენტია. მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ში სწავლის საფასური საერთაშორისო სტუდენტებისთვის არცთუ დაბალია და ბევრ ქვეყანაში არსებულ გადასახადებზე გაცილებით მაღალიცაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ეროვნული და WFME (სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის) სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ტრადიციულად გამოჩენილი ცენტრია, როგორც საქართველოში, ისე - საერთაშორისო არენაზე; ამიტომ ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა სწავლის ხარისხის მუდმივი სრულყოფა და უნივერსიტეტის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნება.

სამედიცინო განათლების მაღალი სტანდარტების რეალიზება სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს; ჩვენს საერთაშორისო პარტნიორობთან ურთიერთობა, საკუთარი მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება და მედიცინაში თანამედროვე გამოწვევების ღირსეულად დაძლევის ამოცანა თამამი, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმისკენ გვიბიძგებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წლებია ფუნქციონებს ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ❖ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება;
- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორია მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMan (საფრანგეთი).

პროგრამის დასრულების შემდეგ ორი (ქართული და ფრანგული) დიპლომი გაიცემა.

❖ ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეუფლონ პროფესიას, სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, HORIZON, MEVLANA და სხვა). ყოველწლიურად ჩვენი უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მეცნიერი, ექიმი, ექთანი მონაწილეობს მოკლე და გრძელვადიან საერთაშორისო მოძილობის პროგრამებში. სტაჟირებისა და ჩვენი მიღწევების გაზიარების მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხშირია პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორებისა და სტუდენტების ვიზიტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვინცერთ პროფესორებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი კითხულობენ ლექციებს, ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, საჩვენებელ ოპერაციებს, პაციენტთა კონსულტაციებს. უკვე 600-ზე მეტი ასეთი ვიზიტი განხორციელდა.

ჩვენი მუდმივად ვეძებთ განვითარების ახალ გზებს, ყოველწლიურად გვაქვს სიახლეები: გერმანიის პედაგოგთა და მოზარდთა მედიცინის საზოგადოების (DGKJ), გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროსა და თსუ-ის ერთობლივი დაფინანსებით, დაიწყო ერთობლივი პროექტის განხორციელება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკაში. პროექტის ფარგლებში გერმანული პროფესორები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესსა და კლინიკურ აქტივობებში, ხორციელდება ერთობლივი კვლევითი პროექტები, გერმანული პროფესორები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ექიმთა უწყვეტი გადამზადების პროცესში.

საკუთრივე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და, რაც მთავარია, განხორციელების ხარისხის ინდიკატორის ერთ-ერთი მექანიზმი სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეფასების კვლევა და შედეგების კრიტიკული ანალიზია. საამისოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია სამიზნე კითხვარი და კრიტიკიუმი, რომელთა გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში, ხარისხის სამსახურთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ეს ყოველივე განსაზღვრავს კურიკულუმის სწორად დაგეგმვას, მისი განხორციელების ეფექტურობის, შედეგების მიბეჭდვით, გაზომვადი კრიტერიუმებით შესწავლის და შეფასების პროცესთა უწყვეტ არსებობას.

ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს - აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს - შქონდა, აქვს და ექნება პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

ყოველწლიურად ბრძოლის ურთულეს პერიოდში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია. თსუ - უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერა საქართველოში და მისი თანამშრომლები, სტუდენტები, პანდემიის დაწყების დღიდან, აქტიურად არიან ჩართულნი უზიარებელი მტერთან ბრძოლაში. დღეს, როცა პანდემიის დასრულების გზა ვაკინაციაზე გადის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, მისი უპირველესი მოვალეობა - შეექმნა ეპიდემიოლოგიურად უსაფრთხო სივრცე 9000-მდე სტუდენტისთვის - დიდი წარმატებით შეასრულა: სადღეისოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების 95%, ხოლო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 93% სრულადაა ვაკინაცირებული და ეს დოკუმენტურად დასტურდება. აღნიშნულმა გარემოებამ განსაზღვრა, რომ პანდემიის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უკვე ოთხი სემესტრია თითქმის სრულად ფუნქციონებს არადისტანცირებულ რეჟიმში. ეს კი ჩვენივე, როგორც სამედიცინო განათლების კერისთვის, ასაცოცხლოდ მიმწვინვლელია განსაკუთრებით - ჯანდაცვის მიმართულებით პროგრამების დისტანციური სწავლება წარმოუდგენელია.

თუ თქვენი არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის წევრობაა, გარწმუნებთ, რომ ამ გადაწყვეტილების წარმატებით რეალიზების საქმეში, თავისი ცოდნით და ავტორიტეტით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მეცნიერები, ექიმები, ექთნები, ადმინისტრაცია, სახელოვანი კურსდამთავრებულები და სტუდენტები დღეს, ხვალ და მომავალ თქვენ გვერდით იქნებიან.

დიდი იმედით მაქვს, რომ იმ გამოწვევების წინაშეც, რომელსაც პანდემიით დაღდასმული დროება გვთავაზობს, თქვენ მაქსიმალურად მოტივირებულნი იქნებით და ღირსეული კონკურენციის პირობებში მიაღწევთ მიზანს! გამარჯვებას გისურვებთ!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

გაიყვანე მედიცინის ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეული და აღიარებული არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. ტრადიციულად, მედიცინის ფაკულტეტზე, ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი აკეთებს არჩევანს. ექიმობის მსურველებს საშუალება აქვთ, მიიღონ საერთაშორისო კლასის განათლება, რაც მათ გზას უხსნის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიპლომისშემდგომი განათლების მისაღებად და სამუშაოდ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს ახალგაზრდების გადამწყვეტილებას ამ ურთულესი, მაგრამ, ამასთანავე, მეტად ჰუმანური და საინტერესო პროფესიის არჩევის გამო. მედიცინის ფაკულტეტი ითვალისწინებს მათ გულწრფელ სურვილს – ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით გააუმჯობესონ ადამიანთა ცხოვრება და მოუწოდებს მათ, გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სთავაზობს, არ დაზოგონ დრო და ენერგია სასურველი მიზნის მისაღწევად.

ჩვენთან ყველაფერი თავად სტუდენტზე დამოკიდებული. მათთვის, ვისაც ნამდვილად სურს, მომავალი დუკავშიროს მედიცინას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი საუკეთესო არჩევანია!

მედიცინის ფაკულტეტის ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური და სრულფასოვანი ექიმები, ამასთანავე, ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევრები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტთა შესაძლებლობების, მოტივაციის მაქსიმალურ გამოვლენას როგორც დიპლომამდელ, ასევე, დიპლომისშემდგომი განათლებისა და მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში.

ჩვენი მიზანია სტუდენტთა სწავლების ხარისხის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მასქი-მალური დაახლოება.

მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება ორი პროგრამა: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (სწავლების ენა – ქართული) და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (სწავლების ენა – ინგლისური).

დიპლომამდელი სწავლება ერთსაფეხურიანია და მისი ხანგრძლივობა 6 წელია. სასწავლო პროგრამების მიზანია, აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე ექიმები, რომლებსაც აქვთ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო ცოდნა და კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად ამ ცოდნის გამოყენების უნარი. კურსდამთავრებულნი მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო კადრი მზადდება ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებული მედიკოსი შეიძლება დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც მუშაობს ექიმი სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ან სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში.

რეზიდენტურის დასრულების შემდეგ ის ხდება ექიმი სპეციალისტი: თერაპევტი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, გინეკოლოგი, ნევროპათოლოგი, პედიატრი,



ფსიქიატრი და სხვ.

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ მას ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი მედიცინაში. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შემუშავდა და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს, რომელსაც ჩაბარებული ექნება ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდები, შეუძლია, დიპლომისშემდგომი განათლება მიიღოს და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ (აშშ, და სხვ). ექიმობა არის რთული და, ამასთანავე, მეტად პრესტიჟული პროფესია. ექიმი სწავლობს მთელი ცხოვრების მანძილზე, რათა პრაქტიკული საქმიანობა აწარმოოს სამედიცინო სფეროში განხორციელებული ახალი მიღწევების გამოყენებით.

ფაკულტეტზე, დიპლომამდელი განათლების ეტაპზე, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2021 წელს დიპლომირებული მედიკოსის (სწავლების ენა – ქართული) და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულმა (სწავლების ენა- ინგლისური) პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია 7-წლიანი ვადით. განახლებულ პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ინტეგრირებული კურიკულუმით. წარმოდგენილ კურიკულუმში განსაკუთრებით საყურადღებოა სასწავლო დისციპლინებს შორის „პორიზონტალური“ და „ვერტიკალური“ ინტეგრაციის გაღრმავება. დისციპლინების სწავლება, უმეტესწილად, ჩანაცვლებულია პრობლემების სწავლებით. კლინიკური სწავლება იწყება პროგრამის პირველი სემესტრიდანვე, ბიოსამედიცინო მეცნიერებების სწავლება კი პროგრამის დასრულებამდე გრძელდება.

დაიხვენა სწავლებისა და შეფასების მეთოდიკა. სწავლების მეთოდებიდან დიდი ყურადღება ექცევა შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას – სტრუქტურირებული შემთხვევის განხილვას, იშვიათი შემთხვევის განხილვას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზისო კურსის სწავლებისას მნიშვნელოვანი დრო ეთმობა პრობლემის კლინიკური ასპექტების განხილვას, ხოლო კლინიკური სწავლების ეტაპზე სტუდენტი კვლავ უბრუნდება და ახალ ასპექტში განიხილავს ფუნდამენტურ საგნებში ნასწავლ საკითხებს.

სწავლების პროცესში დიდი ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნას, რაშიც სტუდენტებს დიდად უწყობს ხელს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი. აქ ექიმისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია სწავლების პირველი დღეებიდანვე ყალიბდება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აუცილებელ ნაწილად იქცა სამედიცინო უნარ-ჩვევების სწავლება. უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მოვალეობაც ამ უნარ-ჩვევების სწავლება და მონიტორინგია. სწავლების II წლის პროგრამას დაემატა სავალდებულო საგანი – „სამედიცინო კვლევის საფუძვლები“. აღნიშნული საგნის სწავლებით სტუდენტი იძენს ისეთ კომპეტენციებს, როგორცაა: საკითხის სწორად დაყენება, საძიებო სისტე-

მების გამოყენება, მიღებული ინფორმაციის სწორად შეფასება, სტატისტიკური კრიტიკული ანალიზი, მომავალი კვლევის სწორი დაგეგმვა. დიდი ყურადღება ექცევა დანტერესებული და მოტივირებული სტუდენტების ჩართვას დეპარტამენტში მიმდინარე სამედიცინო კვლევებში.

ფაკულტეტის სამედიცინო საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტთან სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის შემოერთებამ. მეცნიერები აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტთა სწავლების პროცესში, სტუდენტებს კი სამედიცინო პროექტების განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ორჯერ აღიარა როგორც მედიცინის დარგში წლის საუკეთესო სამედიცინო-კვლევითი დაწესებულება.

მედიცინის ფაკულტეტზე დაინერგა სტუდენტის ცოდნის შეფასების თანამედროვე, ობიექტური მეთოდები. შეფასების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გამჭვირვალე გახდა. უნივერსიტეტში ფუნქციობს სრულად კომპიუტერიზებული საგამოცდო ცენტრი.

დაიხვენა და დიდი ყურადღება ეთმობა მომავალი ექიმის უნარ-ჩვევების შეფასებას. მთელ რიგ დისციპლინებში მომავალი ექიმების ცოდნა უკვე მათი კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობის მიხედვითაც ფასდება. 2008-2009 სასწავლო წელს ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა კლინიკური გამოცდა პროპედევტიკაში. მეანობა-გინეკოლოგიაში, პედიატრიაში და შინაგან მედიცინაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) საშუალებით. ამ ტიპის გამოცდა, სტუდენტის სხვა კლინიკური უნარების შეფასებასთან ერთად, მისი კომუნიკაბელურობა, გუნდში მუშაობის უნარის, მიღებული ცოდნის გადაცემის უნარის შეფასებასაც მოიცავს.

სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში ფაკულტეტს დიდად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებმა და პროექტებმა, რომლებიც ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან უცხოელი პროფესორები.

ამდენად, ფაკულტეტის მიზანია, მომავალი ექიმების სწავლება ფუფუნებოდად მეცნიერებას, სწავლების სტრატეგიად კი არჩეულია სწავლება ინტეგრირებული პროგრამით.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტს საშუალება აქვს, გაიაროს სტაჟირება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო სკოლის კლინიკაში.

უკანასკნელ წლებში ფაკულტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების სამედიცინო სკოლების პროფესორები. ისინი კითხულობენ ლექციებს სტუდენტებსა და რეზიდენტებს თბილისში, ატარებენ სამედიცინო კონსულტაციებს, ოპერაციებს, თსსუ-ის პროფესორებთან ერთად ახორციელებენ სამედიცინო პროექტებს.

ფაკულტეტს სამომავლოდც დიდი მიზნები აქვს, რომელთა განხორციელება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სისხლხორცული საქმეა. იმედია, ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება ჯანდაცვის გაუმჯობესება 21-ე საუკუნეში.



დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა			მისაღები კონტინგენტი – 250
საგამოცდო საგანი	მინიმალური კოეფიციენტის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	70%+1	2	
უცხოური ენა	75%+1	2	
ზოოლოგია	70%+1	4	
ქიმია	70%+1	4	100
ფიზიკა	70%+1	4	75
მათემატიკა	70%+1	4	75

გეგმვა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, როგორც წარმატებული საერთაშორისო პარტნიორობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, 2013 წლიდან არსებობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს სამედიცინო განათლების სფეროში მისი სპეციფიკურობიდან და მოკლე დროში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე. ქართველ სტუდენტებთან ერთად, პროგრამაზე სწავლობენ საერთაშორისო სტუდენტები მსოფლიოს 16 ქვეყნიდან, მათ შორის, - აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან და ა.შ. დღეისთვის პროგრამაზე 391 აქტიური სტუდენტი.

თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის თანამშრომლობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ურთიერთობის სათავეში ემორის მედიცინის სკოლის პროფესორი, თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი იდგა. პროგრამის შემუშავება რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული და ამერიკული მხარეების ინტენსიური მუშაობის ფონზე. პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების ყველა ეტაპზე ემორის მედიცინის სკოლა აქტიურად არის ჩართული: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქმიანი ვიზიტით ხშირად იმყოფებიან ემორის უნივერსიტეტის პროფესორები გორდონ ჩერჩორდი, მერი ჯო ლეკოვიჩი, ჯოელ ფელნერი, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად ემორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი არჩილ უნდილაშვილი.

❖ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ქვეყნის ძირითად მოთხოვნებს სამედიცინო განათლების სფეროში.

❖ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

სწავლება ინგლისურ ენაზე ხორციელდება, რაც კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს საერთაშორისო ასპარეზზე.

USMLE - აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდა

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას საფუძვლად დაედო ემორის მედიცინის სკოლის მოდერნიზებული სასწავლო გეგმა, რომელიც მოდიფიცირდა ევროპული და ლოკალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამა იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებმა სწავლის პროცესშივე შეძლონ, ჩააბარონ ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (ე.წ. USMLE) ორი საფეხური დამატებითი დროის, სახსრებისა და ზედმეტი ძალისხმევების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის სალიცენზიო გამოცდების ჩაბარება არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუმცა, USMLE-ის გამოცდების მონაწილის, სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით, მისი ჩაბარების მაჩვენებელი პროგრამის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებში თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების მიღწეული შედეგები - კლინიკურ საფეხურზე მყოფი სტუდენტების 1/3-ზე მეტს წარმატებით აქვს ჩაბარებული ეს გამოცდები. ასეთი წარმატებული შედეგი უკვე დაეხმარა ჩვენს კურსდამთავრებულებს, პროგრამის დასრულებისთანავე, არჩეული სპეციალობით ამერიკის ნამყვან კლინიკებში გაეგრძელებინათ რეზიდენტურა.

სასწავლო კურსი - „გახდი ექიმი“

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სასწავლო კურსი - „გახდი ექიმი“ (BAD / Becoming a Doctor), რომელიც სტუდენტის კლინიკური უნარების, ეთიკური და პროფესიული დამოკიდებულებების მუდმივ განვითარებას უზრუნველყოფს. კურსი იწყება სწავლის პირველივე დღეებში და გრძელდება მთელი პროგრამის განმავლობაში. „გახდი ექიმი“ გიდის ფუნქციას ასრულებს ექიმობისკენ მიმავალ გზაზე. ეს სწორედ ის კურსია, რომელიც ეხმარება სტუდენტებს იპოვონ, განავითარონ და აღიჭურვონ იმ პერსონალური და პროფესიული თვისებებით, რაც ექიმის პროფესიისთვისაა საჭირო.

აღნიშნული კურსის ფარგლებში პირველივე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ და შემდეგ თანდათან აძლიერებენ ისეთი საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისებას, როგორიცაა ანამნეზის შეკრება, პაციენტის ფიზიკური გასინჯვა, მიღებული შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და



დოკუმენტირება, კომუნიკაცია პაციენტის ახლობლებთან, კოლეგებთან და სხვა.

ამავე კურსის ფარგლებში სტუდენტები ითვისებენ პირველადი დახმარების განხორციელების უნარებს, ტრავმის მართვის საწყისებს, სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების უნარებს, აცნობიერებენ ექიმის პროფესიაში ეთიკური საკითხების მნიშვნელობას, ზრუნავენ ისეთი უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაზე, როგორცაა, დროის მართვა, თვითმოტივაციის, მიზანდასახულობის და სხვა უნარების განვითარება. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესიონალიზმის განვითარებაზე ზრუნვას.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხების მაქსიმალურად სწორად განხორციელებაში ამერიკული მხარე უშუალოდ არის ჩართული. გარდა ამისა, „გახდი ექიმი“ ფარგლებში თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამასთან თანამშრომლობენ ამერიკის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწე ქართველი ექიმებიც, რომლებიც საგანგებოდ ატარებენ ტრენინგებს პროგრამის სტუდენტებისათვის.

კურსის - „გახდი ექიმი“ - ფარგლებში სტუდენტები პირველივე სემესტრში სტუმრობენ კლინიკებს, ეცნობიან სამედიცინო პერსონალის საქმიანობას, პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ რეალურ პაციენტებთან (რა თქმა უნდა, ზედამხედველობით).

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაში სტუდენტის მოსამზადებლად აქტიურად გამოიყენება სიმულაციური სწავლება პაციენტის როლში მყოფი მსახიობების მონაწილეობით.

მცირე ჯგუფის კოორდინატორი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ძლიერი და სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემის არსებობას: თითოეულ ჯგუფს (რომელიც 10-12 სტუდენტისგან არის დაკომპლექტებული) ჰყავს მცირე ჯგუფის მრჩეველი - მენტორი, კოორდინატორი, რომელიც სტუდენტს სწავლების სრული კურსის განმავლობაში ეხმარება აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, უწევს კონსულტაციებს კარიერული განვითარების საკითხებზე და სხვა.

კარიერული წინსვლა

პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია სტუდენტთა კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, რაც მოიცავს მათთვის საჭირო ინფორმაციის მინოდებას, გაზიარებას, ასევე, რეზიდენტურისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ინტერვიუს პროცესისთვის მომზადებას. სწავლების ამ კომპონენტში ძალზე აქტიურად არიან ჩართულნი თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კოლეგები აშშ-დან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სტუდენტთან ამ მიმართულებით.

კლინიკური სწავლება აშშ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული

პროგრამის სტუდენტს, რომელსაც სწავლის პროცესში ჩაბარებული აქვს ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის პირველი საფეხური, შეუძლია კლინიკური როტაციების გარკვეული ნაწილი გაიაროს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში. კლერკშიფის მიზანია, მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მისი ინტერესის სფეროს მიხედვით გაიღრმავოს ცოდნა და უფრო მეტად განავითაროს კლინიკური უნარ-ჩვევები. უკვე მესამე წელია, პროგრამის სტუდენტები წარმატებით გადაიან კლინიკურ სწავლებას ემორის მედიცინის სკოლაში.

„ზამთარი/ზაფხული ემორიში“

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის გაცვლითი პროგრამა - „ზაფხული/ზამთარი ემორიში“ სტუდენტებს ნასახალისებლად ამერიკული მხარის ინიციატივით იქნა წამოწყებული. აღნიშნული პროექტი წელიწადში ორჯერ ხორციელდება და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ამერიკული სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების ადგილზე გაცნობას. პროექტი სამ კვირას მოიცავს და ამ დროის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება აქვთ, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში დაესწრონ მიმდინარე სასწავლო პროცესს (ლექცია-სემინარებს) და, ასევე, დააკვირდნენ ყოველდღიურ კლინიკურ საქმიანობას ატლანტის სხვადასხვა კლინიკაში.

„ზაფხული/ზამთარი ემორიში“ არის აქტივობა, რომელიც უდიდეს გამოცდილებას აძლევს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის I, II, III, IV სემესტრების სტუდენტებს. რა უნდა იყოს უფრო მეტი მოტივაციის მიმცემი პირველსემესტრისთვის, რომელიც რეალურად ახლა იწყებს მედიცინის საფუძვლების შესწავლას და ხვდება ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტის კლინიკაში; ფაქტობრივად, ხდება მათი გუნდის წევრი. ერთი რამ ფაქტია, ზაფხულისა და ზამთრის გაცვლითი პროგრამიდან სტუდენტები ბურუნდის უდიდესი მოტივაციით, ენერგიითა და ერთუზიანობით და, რაც მთავარია, უმეტესობამ უკვე ზუსტად იცის, რა არის მისი მიზანი.

ამ ყველაფერს კი ისიც ემატება, რომ ისევე როგორც კლინიკურ როტაციებს XI და XII სემესტრის სტუდენტები სათვის, ზამთრისა და ზაფხულის გაცვლითი პროგრამის პროექტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ფინანსურადაც უჭერს მხარს. წარმატებული სტუდენტების ნახალისების სისტემა ამ პროგრამების განხორციელების პირველივე დღიდან მოქმედებს.

ემორის მედიცინის სკოლაში გაცვლითი პროგრამით დღემდე 120-ზე მეტმა სტუდენტმა ისარგებლა.

გაცვლითი პროგრამებში თსსუ-ის აკადემიური და მონვეული პერსონალიც აქტიურად მონაწილეობს.

„ეთერი ხალათების ცერემონია“

ნებისმიერ ადამიანს ახსოვს თავისი სტუდენტობის პირველი და ბოლო დღე. პროგრამა ცდლობს, სტუდენტებისთვის, ასევე, მათი მშობლებისა და ახლობლებისთვის ორივე დღე განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყოს: ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს ყოველწლიურად „ეთერი ხალათების“ გრანდიოზული ცერემონია ელით. „ეთერი ხალათების ცერემონია“ და გამოსაშვები ღონისძიება ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში დამკვიდრებული სტილით ხორციელდება.

„ეთერი ხალათების ცერემონიას“, ტრადიციულად, თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ხსნის. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებას, საპატიო სტუმრებთან ერთად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ულოცავს.

გამოსაშვები ღონისძიება

გამოსაშვები ღონისძიებისას უმნიშვნელოვანესი როლი საგანგებო, თავის კარიერაში წარმატებულ და სამაგალითო, ყველასთვის კარგად ცნობილ სტუმარს ენიჭება, რომელიც წარმატების მისეულ საიდუმლოს კურსდამთავრებულებს უზიარებს. რიგით პირველ გამოსაშვებ ღონისძიებაზე ეს როლი ცერემონიის საგანგებო სტუმარმა, ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის ჩემპიონმა, ზაზა ფაჩულიამ, შეითავსა. გასულ წელს კი, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, პროგრამის კურსდამთავრებულებს ამერიკიდან დისტანციურად ემორის მედიცინის სკოლის პემატოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა მერი ჯო ლეკოვიჩმა მიმართა. გამოსაშვები ღონისძიება 2019 წლიდან იქცა ტრადიციად და ის ყოველ წელს პომპეზურად გააძვირებს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებულებს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა		მისაღები კონტინგენტი - 20	
საგამოცდო საგანი	მიწიებალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	70%+1	2	
უცხოური ენა	85%+1	2	
ბიოლოგია	70%+1	4	
ქიმია	70%+1	4	8
ფიზიკა	70%+1	4	6
მათემატიკა	70%+1	4	6

გაიქანა

სტომატოლოგიის ფაკულტეტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი ჩვენს ქვეყანაში მაღალკვალიფიციური აკადემიური და საექიმო კადრის ზრდის ტრადიციული, პოპულარული და წარმატებული სამედიცინო ამის უტყუარი დასტურია ფაკულტეტის პროფესორის მაღალი პროფესიული და სამეცნიერო რეპუტაცია, სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის მსურველი ახალგაზრდების რაოდენობის განუხრელი ზრდა, ჩვენი კურსდამთავრებულების მაღალი რეიტინგი, პოტენციური დამსაქმებლების დიდი პროფესიული ინტერესი და ნდობა მათდამი.

უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების პროცესის გამდიდრებამ ინოვაციური მეთოდოლოგიებით, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ განხორციელებულმა ინიციატივებმა ევროპულ სამედიცინო განათლებასთან ჰარმონიზების მიმართულებით, ძირეულად შეცვალა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კონცეფცია, სახელდობრ, შექმნა წინაპირობა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დანერგვისათვის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, კერძოდ, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, სადაც OSCE 2009 წლიდან ტარდება.

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაში დეკლარირებული მიზნების, ამოცანებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, პროგრამის კურიკულუმი აგებულია ე.წ. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების თანმიმდევრული, პრეეკვიზიტული ჯაჭვის სახით. ამავე დროს, სტუდენტები აკადემიური პროცესის აქტიური მონაწილენი არიან, რამეთუ სწორედ ესაა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განმსაზღვრელი არსი. სტუდენტები ფანტომებზე ითვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მონაწილეობენ კლინიკური შემთხვევების განხილვაში, ესწრებიან ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ამუშავებენ რეფერატებს და პრეზენტაციებს და საგანმანათლებლო სერვისის ამ ასორტიმენტში ისინი თავისუფალნი არიან პრიორიტეტების არჩევანში, ცხადია, დეკლარირებული კურიკულუმის ფარგლებში. მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკულ მუშაობაში საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებზე; აქ მათ აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიღებული ცოდნის განმტკიცების პარალელურად, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ჩაერთონ პაციენტთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, სრულყოფ



პაციენტთან დამოკიდებულების და კომუნიკაციის უნარები. უნივერსიტეტში ეფექტურ პრაქტიკად იქცა დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (ელექტრონული ფორმით). ამგვარი უკუკავშირი უალტერნატივოა პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შეფასებისათვის.

ამ ტიპის კვლევის შედეგების ანალიზი კი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად დამუშავებული და გაანალიზებული, საფუძვლად ედება სათანადო რეკომენდა-

ციებს პროგრამ(ებ)ის განვითარების თვალსაზრისით.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს საფუძვლიან თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მას გააჩნია დამოუკიდებელი საექიმო აზროვნების უნარი. ამ მიზნის განსახორციელებლად ინტენსიური პრაქტიკა ეფუძნება ღრმა თეორიულ ცოდნას, რაც მიიღწევა, ერთი მხრივ, ლექციებისა და სემინარების დახმარებით, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკული მეცადინეობის დროს საფანტომო კურსის დახვეწით და პედაგოგის მიერ პაციენტის სტუდენტისათვის არა მარტო დემონსტრირებით (რაც, თავისთავად, ღირებულია), არამედ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სტუდენტის მასიმიმურად ჩართვის ფორმით, ცხადია, იმ ფორმატით, რის უფლებასაც შესაბამისი კანონმდებლობა იძლევა.

უნივერსიტეტის კლინიკური დისციპლინების სწავლება. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 6 საუნივერსიტეტო კლინიკა და ასეულზე მეტი აფილირებული კლინიკა. ამასთან ერთად, ა.ურუნაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში არსებობს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ ფანტომებზე აითვისონ ესა თუ ის კლინიკური მანიპულაცია თუ ჩარევა. შესაძლებელია ამ „აკადემიური ფუფუნების“ უფრო რაციონალური და ეფექტური გამოყენება.

თსუ-ის სტუდენტები და პროფესორები აქტიურად არიან ჩართულნი გაცვლით პროგრამებში. გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც აუცილებელია სხვა სამედიცინო სკოლაში გავლილი სასწავლო პროგრამის აღიარებისათვის. სტუდენტები მონაწილეობენ ზამთრის და ზაფხულის სტაჟირების პროგრამებში საქართველოს სხვადასხვა კლინიკაში.

ჩვენი მიზანია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყოს ღირსეული მოქალაქე, კონკურენტუნარიანი, მუდამ ახლის ძიებასა და განვითარებაზე ორიენტირებული, საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი და ემპათიით გამსჭვალული სპეციალისტი, რომელიც სრულყოფილად ფლობს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სტომატოლოგიაში; ეს ყოველივე კი, საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საწინდარია.



დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 110

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	60%+1	2	
უცხოური ენა	65%+1	2	
ბიოლოგია	60%+1	4	
ქიმია	60%+1	4	44
ფიზიკა	50%+1	4	33
მათემატიკა	50%+1	4	33

გაიყვანი

ფარმაციის ფაკულტეტი



ფარმაციის მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ფარმაცევტული საქმიანობა პაციენტზეა ორიენტირებული. მისი მთავარი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტიანი, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით. მისი ძირითადი პროდუქტი წამალია, რომლის შემუშავებაც, შესწავლაც, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, რეალიზაციას და მომხმარებლისთვის კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას, ძირითადად ახორციელებს ამ დარგის სპეციალისტი — ფარმაცევტი.

ფარმაციის ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია: პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების — ბაკალავრების მომზადება; სამეცნიერო კვლევაზე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების — მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება; სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა.

ფარმაციის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები:

ბაკალავრიატი

სწავლების ვადა — 4 წელი, 240 ECTS კრედიტი

მაგისტრატურა

სწავლების ვადა — 2 წელი, 120 ECTS კრედიტი

დოქტორანტურა

სწავლების ვადა — 3 წელი, 180 ECTS კრედიტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაციის ფაკულტეტი ახორციელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. საბაკალავრო განათლება ფარმაციაში ეფუძნება მრავალპროფილიან სწავლებას. მისი მიზანია სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში დაცულია ბალანსი საბაზისო, სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო დისციპლინებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას, ანუ სათანადო ფარმაცევტულ პრაქტიკას. სასწავლო გეგმაში ასახულია ე.წ. თავისუფალი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვანი წილი უკავია პრაქტიკულ კურსებს (ლაბორატორიული მეცადინეობები, სავსე, სანარმოო, სასწავლო პრაქტიკები და ა.შ.).

ფარმაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურიკულუმი შედგენილია მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინებით:

სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ




დისციპლინებში და ენიჭება ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას შეუძლია იმუშაოს პრაქტიკულ ფარმაციაში ან სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტები გადიან სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას ფარმაცევტულ სანარმოებში, აფთიაქებში, წამლის ხარისხის უზრუნველყოფის და სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიებში. ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

ფარმაციის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან:

- ❖ ლიეჟის უნივერსიტეტი, ბელგია;
- ❖ ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი;
- ❖ კვებეკის შიკუნიმის უნივერსიტეტი, კანადა;
- ❖ მარსელის უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
- ❖ ტულუზის პოლ საბატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
- ❖ ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია.



ფაკულტეტზე მოქმედებს ოთხი სამაგისტრო პროგრამა: „კლინიკური ფარმაცია“, „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“, „ფარმაცევტული ანალიზი“, „ფარმაციის მენეჯმენტი“.

ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია: ფარმაცევტული, პარფიუმერულ-კოსმეტიკური სანარმოებისთვის, აფთიაქებისთვის, კოსმეტოლოგიური „სპა“ და ესთეტიკური ცენტრებისთვის კვალიფიციური სპეციალისტების

მომზადება, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფარმაცევტული, პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნედლეულის გადამამუშავების, უსაფრთხო, ხარისხიანი და ეფექტიანი ფარმაცევტული, კოსმეტიკურ-პარფიუმერული პროდუქციის შემუშავების, დამზადებისა და სერიული წარმოების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ; შექმნა და დამოუკიდებლად მათი დამზადება, სერიული წარმოება, სანარმოო პროცესების მართვა კარგი სანარმოო პრაქტიკის (კსპ) პრინციპების დაცვით; მომხმარებლისთვის (კანის ნორმისა და პათოლოგიის დროს), უსაფრთხო და ეფექტიანი პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის შერჩევა კანის ბიოლოგიის გათვალისწინებით.

ფარმაცევტული ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიციაციის ფარმაცევტ-ანალიტიკოსის მომზადება, რომელიც დააკმაყოფილებს ჯანმოს, GMP, ISO-ს მოთხოვნებს, იხელმძღვანელებს GLP -ის პრინციპებით და შეძლებს:

- ❖ მოსახლეობის უზრუნველყოფას ხარისხიანი, ეფექტიანი, უსაფრთხო ბუნებრივი და სინთეზური სამკურნალო საშუალებებით, წამლის ფორმებით და სხვა ფარმაცევტული პროდუქტით;
- ❖ ქმედითი ღონისძიებების გატარებას ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის და სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის განხორციელების გზით;
- ❖ რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროგნოზირებას წამალთა ეკვივალენტობის და ფარმაკოკინეტიკური პარამეტრების განსაზღვრის საფუძველზე.

ფარმაციის მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ფარმაციის მენეჯმენტში, რომელსაც ექნება ცოდნა მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ფარმაკოეკონომიკის შესახებ, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაციის (FIP) რეკომენდაციების შესაბამისად, შეძლებს განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა ფარმაცევტულ საქმიანობაში.

კლინიკური ფარმაცია

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ჩაერთოს რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროცესში, სამკურნალო საშუალებების ფორმის, დოზის, დადებითი, უარყოფითი და გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით, ექიმებსა და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებს მიანოდოს უახლესი და ამომწურავი ინფორმაცია სამკურნალო საშუალებების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის შესახებ, ასევე, მონაწილეობა მიიღოს კლინიკური კვლევების განხორციელებაში.



ფარმაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა			მისაღები კონტინგენტი – 150
საბამოცდო საგანი	მინიმალური კოეფიციენტი ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	4	
ქიმია	35%+1	4	60
ფიზიკა	35%+1	4	45
მათემატიკა	35%+1	4	45

გაიქანი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი



ჯანდაცვის ეროვნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნის, სურსათის უვნებლობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებს, რაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ისეთ ღონისძიებებს გულისხმობს, როგორცაა გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლი და გარემოს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ინტერვენციები, რომლის მთავარი მიზანი არა მხოლოდ პრევენციული და სამკურნალო სერვისებით უზრუნველყოფაა, არამედ ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხის და თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტირებაც.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი ახორციელებს ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედებს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა — ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ფაკულტეტის დეპარტამენტები ჩართული არიან სპეციალისტთა გადამზადების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკრედიტებულია ორი საბაკალავრო პროგრამა: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“. საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, თსუ-ის დეკლარირებული მისიისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადდეს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის სფეროში მუშაობის, შემდგომი პროფესიული ზრდისა და აკადემიური განათლების გაგრძელების შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას, კომპეტენციის ფარგლებში მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მზაობას დიპლომისშემდგომი განათლების გაგრძელებისათვის. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფრანგულ მხარესთან - მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (UniMa) თანამშრომლობით. პროგრამა, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებთან ერთად, აქცენტირებულია შემდეგ საკითხებზე:



- ✓ ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;
- ✓ ადმინისტრაციული, მენეჯერული, კომერციული საქმიანობის ორგანიზება და შეფასება;
- ✓ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზება და მართვა;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სამედიცინო დანერგვების მუშაობის დაგეგმვა და მონიტორინგი;
- ✓ მართვის თანამედროვე პრინციპები ჰოსპიტალურ სექტორში.

ჯანდაცვის მართვის საკითხებთან დაკავშირებული დისციპლინებისა და ფრანგული ენის სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობენ საფრანგეთის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია UniMa-ის პროფესორები. სწავლების ენა ქართულია. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრანგული ენის ინტენსიური სწავლება. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი, აღიარებული როგორც საქართველოს, ასევე, საფრანგეთის მიერ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნის რეალური შესაძლებლობა საქართველოში, საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში, რაც იძლევა მიღებული ცოდნის გამოყენებისა და დასაქმების, ასევე ევროპული განათლების შესაძლებლობას. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც აძლევს უფლებას სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში მოქმედ პროფილურ სამაგისტრო პროგრამებზე:

- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- ❖ გარემოს მედიცინა;
- ❖ ეპიდემიოლოგია;
- ❖ ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება.


სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში.

მაგისტრს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში; მისი წარმატებით დასრულების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პროფილური პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შესაძლებელია აკადემიურ და კვლევით აქტივობაში ჩართვა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის, კვებისა და ასაკობრივი მედიცინის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის, გარემოს მედიცინის, პროფესიული მედიცინის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აისახა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომელიც ტარდება დევიზით — „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“.

ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ მიერა ორგანიზებული უკვე ტრადიციად ქცეული სტუდენტური კონფერენცია, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ბაკურიანში. სტუდენტების აქტიური მონაწილეობით ხორციელდება პროექტი, რომელიც ეძღვნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს, ისინი ჩართულნი არიან შემეცნებით აქტივობებში, მონაწილეობენ საჭადრაკო ოლიმპიადებში და სხვა სპორტულ ღონისძიებებში. უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნება „ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე“, „დაბავის მსოფლიო დღე“, „აუტიზმის საერთაშორისო დღე“ და სხვ., რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი ფაკულტეტის სტუდენტები.

ფაკულტეტს აქვს საერთაშორისო კონტაქტები საფრანგეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ისრაელის, უნგრეთის, ამერიკის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან; ხორციელდება სტუდენტებისა და პედაგოგების სტაჟირება ევროპის, ამერიკისა და კანადის უნივერსიტეტებში.



საბამოცდო საგანი	მინიმალური კოეფიციენტის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	4	
ქიმია	35%+1	4	39/14
ფიზიკა	35%+1	4	33/12
მათემატიკა	35%+1	4	38/14

მისაღები კონტინგენტი – 110

მისაღები კონტინგენტი – 40

❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
 ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული და ფრანგული დიპლომებით)

გაიკვანი

ფიზიკური მედიცინის-და რეაბილიტაციის ფაკულტეტი



თანამედროვე მედიცინის წარმატება შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახურის გარეშე, ვინაიდან კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება ითვალისწინებს, არა მხოლოდ დაავადების მკურნალობას, არამედ პაციენტის ფუნქციური მდგომარეობის ოპტიმალურ ფარგლებში აღდგენას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარი ამოცანაა.

რეაბილიტაცია არის უწყვეტი და კოორდინირებული პროცესი, რომელიც იწყება დაავადების ან დაზიანების დანერგვისთანავე და გრძელდება პაციენტის საზოგადოებაში სრულ რეინტეგრაციამდე.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, დღითიდღე იზრდება ინტერესი თანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ, შესაბამისად, გაზრდილია მოთხოვნა თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სპეციალისტებზე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ქრონიკული დაავადებების, ტრავმის ან სხვა კლინიკური პრობლემის შედეგად განვითარებული უნარ-ჩვეულებების მქონე ადამიანების სამედიცინო დახმარებას.

ფაკულტეტზე მოქმედებს ევროპული სტანდარტების თანამედროვე საბაკალავრო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წელია.

სტუდენტები მომავალ პროფესიას ეუფლებიან უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტებში, საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებსა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ისინი სწავლობენ რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, რესპირატორული და სხვა სისტემების დაზიანებებისა და დაავადებების დროს.

პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში და ეძლევა პროფესიული საქმიანობის საშუა-



ლებს. ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციის ბაკალავრის მოქმედების არეალი ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაზე და მიმართულებაზე. ეს შეიძლება იყოს ინტენსიური თერაპიის ბლოკი, საავადმყოფოს რეაბილიტაციის განყოფილება, ცალკეული რეაბილიტაციის ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სამსახური.

დიპლომის შემდგომი განათლების ორწლიანი ეტაპი ემსახურება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში, რაც გულისხმობს გაფართოებულ კლინიკურ კომპეტენციებს და სამეცნიერო კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევების შექმნას. ფაკულტეტზე მოქმედებს სამი სამაგისტრო პროგრამა: „პედიატრიული რეაბილიტაცია“, „რეაბილიტაციაში მრჩეველი“ და „რეაბილიტაცია სპორტში“.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი წარმატებულად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებსა და პროფესიულ ტრენინგებში, მათ შორის, მეტად აქტუალურია

ნეირორეაბილიტაციის, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიების ფიზიკური რეაბილიტაციის და მალალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების თანამედროვე პროგრამები.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენტურობით და მრავალ არიან დასაქმებული საქართველოს წამყვანი კლინიკების სამედიცინო რეაბილიტაციის განყოფილებებში და კერძო სარეაბილიტაციო ცენტრებში, მოღვაწეობენ სპორტული კლუბებისა და სხვადასხვა სპორტის სახეობის ნაკრები გუნდების სამედიცინო სამსახურებში. კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს დასაქმების 80%-იანი მაჩვენებელი.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტს გააჩნია მჭიდრო კავშირი აშშ-ის უნივერსიტეტებთან. ჩვენს ფაკულტეტზე სისტემატურ ხასიათს ატარებს ამერიკელი პროფესორების ვიზიტები და ლექცია-სემინარები, ისევე, როგორც ერთობლივი ტელეხიდეები და კონფერენციები. ამასთანავე, ამერიკელი პროფესორები მონაწილეობენ და აქტიურად ჩართულები არიან უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის აკადემიურ პროცესში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც დიპლომანტი, ისე დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობას, კერძოდ, ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის პროგრამის წამყვანი აკადემიური პერსონალის ჩართულობასა და კოლაბორაციას.

პროფესიული უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება ფაკულტეტის კლინიკური ბაზის გაძლიერება, რომელსაც დაემატა კიდევ ერთი ახალი სარეაბილიტაციო ცენტრი, კენ ვოლკერის სახელობის საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის სახით, რომელიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობით, ინფრასტრუქტურული თუ ადამიანური რესურსით, სრულიად უნიკალური და მონიავა საქართველოში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან სტუდენტურ-სამეცნიერო პროექტებში, უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და სტუდენტურ სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად, რეგულარულად აწყობენ მრავალფეროვან სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 90

საბამოცდო საგანი	მინიმალური კოეფიციენტის ზღვარი	კოეფიციენტი	ჰაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	3	
ბიოლოგია	35%+1	3	
ქიმია	35%+1	3	36
ფიზიკა	35%+1	3	27
მათემატიკა	35%+1	3	27

გაიკვანი

საქართველო და სამედიცინო-საქმიანო საბაკალავრო პროგრამები



ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა და ტენდენციებმა რადიკალურად შეცვალა ექთნის როლის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ტრადიციული ხედვა. საექთნო განათლების წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები დადგა. სამედიცინო პრობლემების მზარდი კომპლექსურობის პირობებში წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი გახდა მომავალი ექთნის აღჭურვა ცოდნის იმ მოცულობით, რომელიც ცდებდა საქართველოში არსებულ საექთნო განათლების ტრადიციულ საზღვრებს.

2011-2012 სასწავლო წლიდან პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების კვალდაკვალ ამოქმედდა საექთნო და სამედიცინო საქმის საბაკალავრო პროგრამები, რომელთა მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა – 4 აკადემიურ წელს. სამედიცინო საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ (პროგრამა MARTA) ინიცირებული პროექტის – „საქართველოში ბებია-



ქალთა ცოდნის და უნარების გაუმჯობესება“ – ფარგლებში. პროექტის განხორციელებაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ETC Foundation-მა (ნიდერლანდები), HERA-XXI-მა (საქართველო), ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციამ (ICM, Hague) და როტერდამის ბებიაქალთა უნივერსიტეტმა - Rotterdam University of Midwives (RUM/VAR).

2015-2016 სასწავლო წლიდან T.G დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა (ინსბრუკი, ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება მიღება საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც უნიკალურ მანსს აძლევს სტუდენტებს, სტაჟირება გაიარონ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

საექთნო და სამედიცინო საქმის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მაღალ კომპეტენციასა და კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დასაქმების ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

საექთნო საქმის ბაკალავრის ქართულ-ავსტრიული პროგრამა

სამედიცინო საქმის ბაკალავრის პროგრამა

მისაღები კონტინგენტი – 30

მისაღები კონტინგენტი – 10

საბამოცდო საგანი	მინიმალური კოეფიციენტის ზღვარი	კოეფიციენტი	ჰაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	3	
ბიოლოგია	35%+1	3	
ქიმია	35%+1	3	12/4
ფიზიკა	35%+1	3	9/3
მათემატიკა	35%+1	3	9/3

გაიქანა

მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი სამკურნალო ფაკულტეტი გაიხსნა 1996 წელს. ფაკულტეტის სრული კურსი (პირველი გამოშვება) 2002 წელს დაამთავრა 25-მა საერთაშორისო სტუდენტმა.

2006 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც დიპლომანტი, ასევე დიპლომის შემდგომი სწავლების საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა, ამიტომაც, აკადემიური პროცესის მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თავდაპირველად შეიქმნა მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი სექტორი, ხოლო 2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტი.

უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის მთავარი მისია იყო საერთაშორისო სამედიცინო განათლების მაღალი დონის ჩამოყალიბება, სამედიცინო საგანმანათლებლო სფეროში მონაწილე პროცესების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო სტუდენტებისთვის მაქსიმალურად მეგობრული გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მაღალი პროფესიონალიზმის ხარისხის უზრუნველყოფა უპირობო ვალდებულება გახლდათ. უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტში თითოეული სტუდენტი ამომწურავად იღებდა ყველა საჭირო ინფორმაციას სწავლის პროცესთან დაკავშირებით.

2018 წელს, პირველად საქართველოს მასშტაბით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი ფაკულტეტი – მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელიც ერთ ნეოლინდში მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტად გადაკეთდა. ეს, ცხადია, განპირობებული იყო უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებით დიდი დანატრეფებით, რასაც სწავლის მაღალი სტანდარტი განაპირობებს.



მაქსიმალური ზრუნვა სწავლების მაღალ ხარისხზე, ცხადია, უკვალოდ არ ქრება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო აბიტურენტებისთვის, რისი დასტურიცაა მედიცინის ინგლისურენოვან და რუსულენოვან პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობის მკვეთრი მატება.

დღესდღეობით მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტზე სწავლობს 2900-ზე მეტი დიპლომანტი განათლების უცხოურენოვანი სტუდენტი მსოფლიოს 80 ქვეყნიდან. აქ ყველაფერი კეთდება, რომ მათ სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები, გახდნენ გლობალური კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულები, რათა სათანადოდ უპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს.

მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მიზანი, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ❖ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და განხორციელება;
- ❖ ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებითა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოშვებით;
- ❖ ფუნდამენტური, პრეკლინიკური და კლინიკური დეპარტამენტების სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული (კლინიკური, ლაბორატორიული და სხვ.) მუშაობის კოორდინაცია;
- ❖ ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისი შინაარსის, ორიენტაციისა და სტრუქტურის პროგრამებისა და კურსკულუმების შემუშავება, დანერგვა და განვითარება;
- ❖ საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან კოოპერაცია და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ❖ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ❖ სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციებისა და გაიდლაინების შექმნის ხელშეწყობა, დამტკიცება და განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- ❖ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მზადაა, მაღალი სტანდარტის სამედიცინო განათლება მისცეს ყველა სტუდენტს. ის საუკეთესო პლატფორმაა ნებისმიერი მოტივირებული ახალგაზრდისთვის მომავალი წარმატებული კარიერის შესაქმნელად.

გაიქანა

ზენი უნივერსიტეტის სუპერსური თვითგანვითარება



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომლის მიზანია, უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, დახმარება გაუწიოს მათ სწავლის პერიოდში, შეუქმნას ოპტიმალური პირობები დასვენებისა და შრომითი საქმიანობისთვის. შესაბამისად, გუნდი გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო, სოციალურ, კულტურულ თუ სპორტულ აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ პროექტები ტარდება სტუდენტთა მოთხოვნის მიხედვით, თუმცა, ჩვენ ვაძლევთ საშუალებას არა მარტო მონაწილეობა მიიღონ კონკრეტულ ღონისძიებაში,

არამედ, სურვილის შემთხვევაში, თავად განახორციელონ ნებისმიერი პროექტი. სტუდენტურმა თვითმმართველობამ აქცენტი სოციალურ და შემეცნებით პროექტებზე გააკეთა, რომლის ფარგლებშიც მრავალ სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური; შესაძლებელი გახდა, უფასოდ მიეღოთ როგორც კლინიკური მომსახურება, ისე ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო თემებზე. პანდემიის პერიოდი, მოგახსენებთ, მძიმე იყო ყველა ჩვენთვისთვის; სტუდენტური თვითმმართველობაც ახალი გამოწვევისა და სირთულეების წინაშე დადგა – საკმაოდ რთული აღმოჩნდა ადაპტირება ახალ გარემოსთან, თუმცა, ასეთ პირობებშიც, გუნდს არ შეუწყვეტია მუშაობა. პანდემიის დაწყების დღიდან შექმნილი მოხალისეთა ჯგუფი, სადაც განვირგნინდნენ სტუდენტები. ისინი ეხმარებოდნენ სხვადასხვა უწყებას კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს როგორც ქვეყანაში, ისე

მის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საქველმოქმედო ფონდებთან. ჩვენ ერთად ვახორციელებთ ყველაზე მასშტაბურ და დაუფინანსარ პროექტებს. სტუდენტური თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოგვცემთ დიდ გამოცდილებას, აქ საფუძველი ჩაეყრება ყველაზე მნიშვნელოვან ურთიერთობებს, შეიძენთ ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: თავდაჯერებულობა, გუნდურობა, მიზანსწრაფულობა, ორგანიზებულობა... ეს ყველაფერი დაგხმარებთ საკუთარი თავის რეალიზებაში და გახდით კონკურენტუნარიანს დასაქმების ბაზარზე. ნებისმიერ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გახდეს ამ გუნდის წევრი, მთავარია სურვილი და მონდობა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა საინტერესო და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას გპირდებით.

გაიქანა

სამედიცინო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური პასუხისმგებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამედიცინო მუშაობის კოორდინაციაზე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საქმიანობაზე. სამსახური, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასა და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან.

სამსახურის საქმიანობა მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო კვლევის პროგრამების დამტკიცების პროცესის, დოქტორანტურასა და მაგისტრატურაში კონკურსის გამოცხადების, მისაღები გამოცდების ჩატარებისა და დოქტორანტთა თუ მაგისტრანტთა ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებას, პერმანენტულ კონტროლს აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე, სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და დოქტორანტების მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ორგანიზებას, სადოქტორო დისერტაციების დაცვისთვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას სადისერტაციო საბჭოებში წარსადგენად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად, უცხოეთში დაცული სადისერტაციო ნაშრომების შეფასებას კვლევის შედეგების

სამედიცინო, აკადემიური, პრაქტიკული და მეთოდური ღონისძიებების თვალსაზრისით. სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შერეობას თსუ-ში განხორციელებული სამედიცინო კვლევების, სხვადასხვა მიმართულების თუ დეპარტამენტის მიერ მიღებული გრანტების და სხვა სამედიცინო აქტივობების შესახებ, რომლის სისტემატიზაციის შემდეგ ამზადებს უნივერსიტეტის სამედიცინო საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს. ამ ანგარიშების წარდგენა და მოხსენება ხდება როგორც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ისე, სხვადასხვა სამედიცინო ფორუმზე. მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაცია თსუ-ის სამედიცინო მუშაობის შესახებ ეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს. თსუ-ში მოქმედებს 4 სადოქტორო კვლევის პროგრამა: „მედიცინა“, „სტომატოლოგია“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „ფარმაცია“. 2021 წელს ხორციელდებოდა 148 ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის პროგრამა. დისერტაცია დაცვა 14-მა დოქტორანტმა, რომლებსაც ჯანდაცვის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ. თსუ-ში მოქმედებს 11 სამაგისტრო პროგრამა, რომელთა კურსდამთავრებულები - მაგისტრები - წარმატებით საქმიანობენ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროების სხვადასხვა სექტორში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია ახალგაზრდა მკვლევრების მომზადება, რომლებიც ღირსეული აკადემიური პერსონალის ღირსეული ცვლა იქნება. თსუ-ში ხორციელდება თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭომ 2021 წელს მიღებული დადგენილება – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასალ-გაზრდა დოქტორანტთა ნახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების კატარების წესი“, რომელიც გულისხმობს იმ პირთა, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით და თსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებით უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის დადგენილ საერთო პირობებს და რომლებიც დოქტორანტურაში ჩარიცხვის ღონისძიების წარმომადგენელი ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედ სერტიფიკატს, ფინანსურ ნახალისებას სტიპენდიით წელიწადში 24 ათასი ლარის ოდენობით და ასევე კვლევის და სწავლის დაფინანსებით 10 000 ლარის ოდენობით. ეს ინიციატივა სერიოზული პრევენციული საქართველოში ახალგაზრდა აკადემიური და სამედიცინო კადრების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

გაიქანა

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი



დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიზანია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების წარმართვა. ამ საქმიანობას ინსტიტუტში არსებული რეზიდენტურისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს და მართავს. დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) უმაღლესი სამედიცინო განათლების/დიპლომანტი სამედიცინო განათლების შემდგომი ეტაპია საქმიანობის დასაფუძვლებლად და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის მოსაპოვებლად. დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) მიმდინარეობს 50 საექიმო სპეციალობაში უნივერსიტეტული აკრედიტებული სარეზიდენტო პროგრამებით, განათლების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. საერთო ლიმიტი ამ ეტაპისათვის 996 ადგილია. პროფესიული მზადების მრავალეტაპიან პროცესში არაერთი რგოლია ჩართული: თავად სპეციალობის მაძიებელი/რეზიდენტი, მოდულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ-ის საგამოცდო ცენტრი, თსუ-ის აფილირებული და პარტნიორი კლინიკები — ჯამში 139-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება და, რა თქმა უნდა, რეზიდენტურის სამსახური, რომელიც მართავს და კოორდინაციას უწევს პროფესიული მზადების მუდმივად ცვლად და დინამიკურ პროცესს. ამ ეტაპისთვის რეზიდენტურისა და თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური მუშაობენ ახალ პროექტზე: სპეციალობის მაძიებლის/რეზიდენტის ელექტრონული გვერდის შექმნაზე, რომელიც 2020

წელს დაინერგა. აღნიშნული ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების პროცესის გაცილებით ეფექტურ და წარმართვას. უწყვეტი პროფესიული განვითარება — დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) მომდევნო ეტაპია და გრძელდება ექიმის თვით პროფესიული საქმიანობის განმავლობაში, არის რა საექიმო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების თანამედროვე მედიცინის მიღწევებსა და ტექნოლოგიებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მედიცინის და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების გამო სამედიცინო პერსონალი პერმანენტულად საჭიროებს მიღებული სამედიცინო განათლების გადრინდება და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას. სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური საუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთან აფილირებულ და პარტნიორ კლინიკებში, ასორციელებს რა შემდეგი ტიპის პროგრამებს: ❖ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა; ❖ პროფესიული რეაბილიტაცია კლინიკური მოდულით; ❖ კვალიფიკაციის გრძელვადიანი პროგრამა; ❖ კლინიკური სტაჟირების კურსი; ❖ გადამზადების პროგრამა; ❖ სუბსპეციალობის პროგრამა; ❖ სპეციალიზაციის პროგრამა. ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნებიდან და საკითხთა აქტუალურობიდან გამომდინარე, უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური აგრძელებს მუშაობას

სტრატეგიული მიმართულებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ამუშავდა უწყვეტი სამედიცინო განათლების პლატფორმა. ონლაინპლატფორმა მოქმედებს ფორმა ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარების კომპონენტის უწყვეტი სამედიცინო განათლების მისაღებად. პროგრამა იძლევა საშუალებას მომხმარებელი გაეცნოს თემათვის შესაბამის სასწავლო ლიტერატურას, მასალას. სასწავლო პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს სავარჯიშო ვერსიას, იძლევა რა შესაძლებლობას პიროვნებამ გამოცადოს საკუთარი თავი, სანამ უშუალოდ სერტიფიკატის მოპოვების პროცესს შეუდგება. 2020 წლის განმავლობაში ონლაინპლატფორმაზე ახალი პროგრამები განთავსდა. 2020-21 წელს COVID-19-ის პანდემიამ უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა ახალი კორნევივის წინაშე დააყენა. მიუხედავად ქვეყანაში გამოცხადებული კარანტინისა, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესი არ შეწყვეტილა. მზადება გაიარა 1000-ზე მეტმა ექიმმა, მათ შორის, 576-მა — დისტანციურად. გაგრძელდა თანამშრომლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. 2021 წლის ნოემბერში უსგ პროგრამით — „პირველი დახმარება და COVID-19-ის მართვის ზოგადი პრინციპები“ მომზადდა იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურებაში ჩართული პერსონალი. დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება/რეზიდენტურა) და შემდგომ უწყვეტი პროფესიული განვითარება ექიმის თვით პროფესიული საქმიანობის მანძილზე გრძელდება. ინსტიტუტი კი უზრუნველყოფს ორივე კომპონენტის განხორციელებას ერთ საგანმანათლებლო სივრცეში — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

კლინიკებთან ურთიერთობის დახმავებით



კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სტუდენტთა და რეზიდენტთა თანამედროვე სტანდარტებით პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობა...

და ყველა სხვა ამოცანა, რაც გათვალისწინებულია საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და კვლავაც განაგრძობს ხელშეწყობებს და მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებასთან.



სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს რექტორის აპარატში...

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს რექტორის აპარატში, რომლის ძირითადი ფუნქციებია საკარიერო სერვისის განვითარება, თსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური ორგანიზაციებისა და კლუბების კოორდინაცია და საქმიანობის ხელშეწყობა...

ორგანიზება; უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობის და საერთაშორისო სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სტუდენტური სოციალური პროექტების ორგანიზება და განხორციელება. აგრეთვე: კურსდამთავრებულთა კლუბის ფუნქციონირება; სტუდენტური სერვისების განვითარება, სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური ორგანიზაციების და სტუდენტური კლუბების საქმიანობის ხელშეწყობა დებულებით გათვალისწინებული წესით; უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ურთიერთობა შესაბამის სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მიზნით.



კარიერული განვითარების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს რექტორის აპარატში...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს რექტორის აპარატში, რომლის ძირითადი ფუნქციებია საკარიერო სერვისის განვითარება, თსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური ორგანიზაციებისა და კლუბების კოორდინაცია და საქმიანობის ხელშეწყობა...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. 2020-2021 წელს ცენტრმა ოქლიან ჩაატარა 9 ESME კურსი, რომელსაც 100-ზე მეტი მსმენელი ესწრებოდა. დეპარტამენტში შემუშავებულია 2011-2017 და 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების და სამწლიანი სამოქმედო გეგმები. 2009-2012 წლებში, დეპარტამენტის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობდა სამედიცინო განათლების თემატურით ქსელის MEDINE-2-ის საქმიანობაში. MEDINE-2 ევროკავშირის ქვეყნებში ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავების მიზნით. საგულისხმოა, რომ MEDINE-2-ში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და თურქეთი იყო განვითარებული. ამასთან, საქართველო წარმოდგენილი იყო მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტით (უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, მამინდელი ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი და სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია). უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აქტიურად მონაწილეობდნენ MEDINE-2-ის სამუშაო ჯგუფებში და დიდი წვლილი შეიტანეს ევროპაში დიპლომადგელი სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შემუშავებაში. შემდგომში ამ სტანდარტების საფუძველზე, MEDINE-2-ში მონაწილე ქვეყნებიდან, პირველად საქართველოში, 2010 წელს შემუშავდა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც 2018 წელს განახლდა და საფუძვლად დაედო საქართველოში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას. 2011-2014 წლებში ევროკომისიის მიერ დაფინანსდა დეპარტამენტში შემუშავებული სამწლიანი TEMPUS-ის პროექტი - „დიპლომადგელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ (Modernising Undergraduate Medical Education in EU Eastern Neighbouring Area, MUMENA). პროექტი მიზნად ისახავდა სამედიცინო განათლების თვისობრივ გარდაქმნას - ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელი შემუშავებას და დაწერავს საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში. პროექტის კოორდინატორი იყო ამჟამად ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის ექს-პრეზიდენტი, ლიდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტრუდი რობერტი.

პროექტის განხორციელების პერიოდში სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ევროპის პარტნიორ უნი-

ვერსიტეტებში (ლიდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; უტრეხტის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები; გრანადის (ესპანეთი) და რომის (იტალია) უნივერსიტეტები) ტრენინგები გაიანე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის 15-მა პროფესორმა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანადირექტორმა 2012 წელს დეპარტამენტთან შეიქმნა აკადემიური განვითარების ცენტრი, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადება. ამჟამად ცენტრში მოქმედებს ორი პროგრამა - „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია“, „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური დამოცდის (OSCE-ის) ჩატარებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და დასამტკიცებლად წარდგინდა მესამე პროგრამა: „სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომადგელი სამედიცინო განათლებაში“.

2010 წლიდან დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) ყოველწლიურ კონფერენციებში. 2013 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, V-VI სემესტრის სტუდენტებისთვის, დაინერგა ახალი სასწავლო კურსი - შემთხვევებზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (Case-based clinical reasoning - CBCR). კურსის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს უნარი, გამოიყენონ უკვე შეძენილი ცოდნა რომელიმე კლინიკური პრობლემის გადასაჭრელად იმ გზით, რომელსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს გამოცდილი ექიმი პროფესორი საქმიანობის განხორციელებისას. ეს მეთოდი ამჟამად ინერგება ევროპის და აშშ-ის მთელ რიგ წამყვან სამედიცინო სასწავლებლებში და მიჩნეულია კლინიკური აზროვნების განვითარების მეტად ეფექტურ ინოვაციად. 2015 წელს, ქალაქ გლაზგოში, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის კონფერენციაზე, სპეციალური სხდომა მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდილებას და მიღწევებს ამ სასწავლო კურსის დაწერვაში. 2012-2015 წლებში, დეპარტამენტის ინიციატივით, ქართულ ენაზე შეიქმნა და გამოცა სასწავლო ლიტერატურა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, სამედიცინო და კლინიკურ უნარ-ჩვევებზე, პორტფოლიოზე; გამოიცა თანამედროვე სახელმძღვანელო კლინიკურ გერიატრიაში. 2018 წელს გამოქვეყნდა Springer-ის მიერ დაბეჭდა ნიგინ „Principles and Practice of Case-based Clinical Reasoning Education“, რომელშიც ორი თავი დაინერგა პროფესორ გაიანე სიმონიას თანაავტორობით. დეპარტამენტის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეროვნული ავტორიზაციისთვის მზადებაში, რაც წარმატებით დასრულდა 2018 წლის სექტემბერში უნივერსიტეტისთვის სრული ავტორიზაციის მინიჭებით.

გაიკვანი

თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 25 მარტს დაარსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილიანი პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომლის მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა სტრუქტურული განათლების დონის ამაღლება, მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და კლინიკური გამოცდილების გაზიარება. თსუ-ის დევიზის - „ტრადიციებით მომავლისკენ“ — ხორცმესხმა სათანადო მაღალი სტანდარტის სამედიცინო და საგანმანათლებლო ბაზის გარეშე წარმოუდგენელია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა სამედიცინო ნოვაციების დანერგვის ადგილია. „საუნივერსიტეტო“ — ეს მხოლოდ ჟღერადი ეპითეტი როდია, ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან სწორედ აქ ხდება, ერთი მხრივ,



მომავალი ექიმების ჩამოყალიბება, ხოლო, მეორე მხრივ — პაციენტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა სარწმუნოების მაღალი დონის გაიდლინებისა და პროტოკოლების მიხედვით. ეს ის ადგილია, სადაც ბევრი კლინიკისთვის მომავალი, იდეის დონეზე არსებული ოცნება დღევანდელ რეალობას წარმოადგენს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მზადდება გადის 9 000-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის — 2900-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი და ასობით რეზიდენტი. კლინიკა სრულად არის ადაპტირებული სასწავლო მიზნებისთვის. აქ განთავსებულია სხვადასხვა კლინიკური დეპარტამენტი/მიმართულება, რომელთა განკარგულებაშია 5 სალექციო აუდიტორია და 70 სასწავლო ოთახი.

თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა ორიენტირებულია საერთაშორისოდ აღიარებული მტკიცებითი მედიცინის სტანდარტებით მომსახურებაზე. ეს არის 187 საწარმოზე განსაზღვრული თანამედროვე, მაღალი სტანდარტის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარი, სადაც მოღვაწეობენ საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული პროფესორები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ საექიმო მომსახურებას უწევენ საქართველოს მოსახლეობას. კლინიკაში 800-ზე მეტი თანამშრომელია. აქ მაღალხარისხიანი დიპლომანტი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების მიღების პარალელურად, სტუდენტები და რეზიდენტები ორგანიზაციის ჩართულნი სამედიცინო საქმიანობაში. ასეთი ინტეგრაცია პროფესიული დახელოვნების კენ მამაკალი საყოველთაოდ აპრობირებული უტყუარი და საიმედო გზაა.

კლინიკაში ყველა პირობაა თანამედროვე კლინიკური და აკადემიური საქმიანობის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევების შესრულებისთვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანიზაციის კომპონენტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე განთავსებულია სასწავლო დეპარტამენტები:

- ზოგადი თერაპიის დეპარტამენტი;
- ქირურგიის დეპარტამენტი;
- უროლოგიის დეპარტამენტი;
- თვალის სნეულებათა დეპარტამენტი;

- ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტი;
- ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტი;
- მენობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი;
- ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკისა და ტოპიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტი;
- რადიოლოგიის დეპარტამენტი;
- ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი;
- კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი;
- ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი

კლინიკაში ფუნქციონს შემდეგი მიმართულებები:

- გადაუდებელი მედიცინის, რეანიმაციის, ანესთეზიოლოგიის მიმართულება;
- ამბულატორია;
- რადიოლოგია;
- კარდიოლოგია;
- ტრავმატოლოგია;
- ზოგადი ქირურგია (ონკოლოგია);
- ოფთალმოლოგია;
- ოტორინოლარინგოლოგია (ყელ-ყურ-ცხვირი);
- ნევროლოგია;
- ყბა-სახის ქირურგია;
- ნიეო და ენდოვასკულარული ქირურგია;
- უროლოგია;
- ენდოკრინოლოგია;
- პერინატოლოგია (ორსულობა-მშობიარობა);
- ლაბორატორია;
- ზოგადი თერაპია (გასტროენტეროლოგია);
- ტრანსფუზიოლოგია;
- თერაპია;
- ახალშობილთა ინტენსიური თერაპია;
- კანისა და ვენერიული სნეულებები;
- ენდოსკოპია;
- გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორია.

თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა
 თბილისი: ჭავჭავაძის ქუჩა № 4
 ტ. +995 32 261010;

გაიკვანი

თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტის ბივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა მრავალპროფილიანი ბავშვთა სამედიცინო დანესეხებულია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და ტექნიკით.

კლინიკა პაციენტებს სთავაზობს მაღალი სტანდარტის ამბულატორიულ, სტაციონარულ და სადიაგნოსტიკო სერვისებს. კლინიკაში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორა.

კლინიკაში ფუნქციონს შემდეგი სამედიცინო სერვისები:

- ❖ თერაპიის სამსახური (ბავშვთა სნეულებები, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა, ბავშვთა ნევროლოგია, კარდიოლოგია-რევმატოლოგია, ჰემატოლოგია, პულმონოლოგია, გასტროენტეროლოგია და ალერგოლოგია);
- ❖ ნეონატოლოგიური სამსახური;
- ❖ ენდოკრინოლოგიური სამსახური (ენდოკრინოლოგია, დიაბეტური სკოლა);
- ❖ ქირურგიის სამსახური (ზოგადი ქირურგია, ბავშვთა ენდოსკოპია და ლაპაროსკოპია, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია ზოგადი ანესთეზიით, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია);
- ❖ კრიტიკული მედიცინის სამსახური;
- ❖ ანესთეზიოლოგიის სამსახური და საოპერაციო ბლოკი;
- ❖ სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულატორიული სამსახური (ამბულატორია მოიცავს პედიატრიულ, ნევროლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ, ჰემატოლოგიურ, დერმატოლოგიურ, რაბიოლოგიურ, ოზონოთერაპიულ მომსახურებას).
- ❖ ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახური (დიაგნოსტიკა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური რადიოლოგიური და სხვა აპარატურით, მათ შორის, კომპიუტერული ტომოგრაფიით).



ამჟამად მიმდინარეობს კლინიკის ინფრასტრუქტურული განვითარება. კლინიკის ახალაშენებულ კორპუსში იგეგმება ახალი სამედიცინო სერვისების მინორდება პალიატიური და ინფექციური დაავადებების მქონე პაციენტებისათვის.

კლინიკა მუდმივად მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებში. მაღალკვალიფიციური მედპერსონალი პროფილაქტიკურ გასინჯვებსა და დიაგნოსტიკურ კვლევებს ატარებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ პატარა პაციენტებთან.

კლინიკა მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს ნამყვან ბავშვთა სამედიცინო დანესეხებულებთან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვევით უცხოელი ექიმო-სპეციალისტები საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სამედიცინო კონსულტაციებსა და ქირურგიულ ოპერაციებს უტარებენ ქართველ პაციენტებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში მრავალი წლის განმავლობაში დროებით საექიმო საქმიანობას ახორციელებენ შემდეგი უცხოელი ექიმი-სპეციალისტები:

ქალაქ დუისბურგის (გერმანია) ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტირება, ბავშვთა ენდოსკოპია და ლაპაროსკოპია, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია ზოგადი ანესთეზიით, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია;



ტოლოგიური კლინიკიდან მოწვეული პროფესორები, ყბა-სახის ქირურგები: პელმუტ ზიბერი და ვიქტორ ვაილერტი;

ისრაელის, ქალაქ იერუსალიმის ჰადასას ჰოსპიტალის ბავშვთა ქირურგიული დეპარტამენტის ნამყვანი ექიმი, ბავშვთა ქირურგი, მედიცინის დოქტორი ვადიმ კაპულერი. იგი გახლავთ ისრაელის ბავშვთა ქირურგიის ასოციაციის, ისრაელის ენდოსკოპისტ-ქირურგთა ასოციაციის, ევროპის ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის და ევროპის პედიატრიულ ენდოქირურგთა ასოციაციის წევრი; ნორვეგიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის კათედრის დოცენტი, ამჟამად ლონდონის ნმინდა გიორგის სამედიცინო სკოლისა და ნიქოზიის (კვიპროსი) უნივერსიტეტის მიმღები ოფიცერი, ნორვეგიელი დერმატო-ვენეროლოგი, მედიცინის დოქტორი ოლე მარტინ რორდამი;

ყოველწლიურად, კლინიკაში საექიმო საქმიანობას ეწევა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, დამსახურებული პედიატრი, გასტროენტეროლოგი, ჰემატოლოგი და ნუტრიციოლოგი მიხაელ იაკობუს ლენტ-ცი, რომელიც ქართველ კოლეგებთან ერთად კონსულტაციებს უწევს პაციენტებს. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 27 ნოემბრის განკარგულებით, საქართველოში ბავშვთა ჯანმრთე-

ლობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისა და განუღებელი ჰუმანიტარული დახმარებისთვის, პროფესორი მიხაელ ლენტცი დაჯილდოვდა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით, ამავდროულად, მას მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საპატიო დოქტორის“ ნიშნები.

გერმანიის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის საზოგადოებას (The erman Society for aediatrics and Youth

DGKJ), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკას შორის გაფორმებულ თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პედიატრიის დარგში სტუდენტების, ექიმების, რეზიდენტებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ევროპული სტანდარტების ქართველი სპეციალისტებისათვის გაზიარებას, გერმანიის სხვადასხვა დარგის ნამყვანი სპეციალისტები ატარებენ ლექცია-სემინარებსა და სამედიცინო კონსულტაციებს.

სამედიცინო საქმიანობის პარალელურად, კლინიკაში ხორციელდება საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესები და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამები, რაც ნებისმიერი სფეროს განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

კლინიკაში მიმდინარეობს სამეცნიერო-კლინიკური კვლევები ენდოკრინოლოგიის, ნევროლოგიისა და ქირურგიის მიმართულებით, რომლებიც შემდგომშიც გაგრძელდება.

თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტის ბივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა
 თბილისი: ჭავჭავაძის ქუჩა № 21
 ტ. +995 321252 87 16; +995 321254 06 97; +995 32 252 87 16

გაიქანე

შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო სტანდარტების საუნივერსიტეტო კლინიკა“



შ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ 2009 წელს დაარსდა პროფესორ გიორგი ინგოროყვას მიერ.

საუნივერსიტეტო კლინიკის დაარსების მიზანი იყო ისეთი კლინიკის შექმნა, სადაც პაციენტები მიიღებდნენ ყველა პროფილის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას ერთ სივრცეში. 2020 წლიდან კლინიკა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკათა რიცხვს შეემატა და კიდევ უფრო მეტი დატვირთვით ჩაერთო სტუდენტთა განათლების პროცესში.

კლინიკის სტრატეგია ეფუძნება პრინციპს, რომ ის უნდა იყოს სამედიცინო დანესებულება, სადაც პრაქტიკული საქმიანობა, მეცნიერების განვითარება და სწავლება ორიენტირებული იქნება პაციენტებზე.

კლინიკა აღჭურვილია ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რაც იძლევა საშუალებას პაციენტებმა მიიღონ ევროპული დონის სამედიცინო მომსახურება. აღსანიშნავია, რომ დაარსებიდან დღემდე, შ.პ.ს. „თბი-

ლისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების კლინიკა“ არის საქართველოში რვა სამედიცინო დარგისა და მიმართულების ფუძემდებელი, რომელიც დღეს უკვე ქვეყანაში განვითარებულია და უტოლდება საერთაშორისო სტანდარტებს.

კლინიკა გაფართოვდა, დაემატა ახალი კორპუსი. საავადმყოფოში განთავსდა თსუ-ის კლინიკური დეპარტამენტები. კლინიკამ, ტრადიციული მაღალტექნოლოგიური სერვისების მიწოდებასთან ერთად, დიდი როლი შეასრულა კოვიდპანდემიასთან ბრძოლაში.

შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო სტანდარტების საუნივერსიტეტო კლინიკა
 თბილისი: 0144; წინანდლის ქუჩა № 9. ტ. +99532 2 050500

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლებას შესაბამისი საბინაო-საუნივერსიტეტო-სტომატოლოგიური კლინიკა:



- თსსუ-ის აპოლონ უნივერსიტეტის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა**
(დაპით აღმაშენებლის გამზირი № 126, ტ. 2952089)
- თსსუ-ის № 1 სტომატოლოგიური კლინიკა**
(რ. უზნაძის ქ. № 2, მსკვრის ბაზისთან სანაპირო; ტ. 2953209)
- თსსუ-ის № 2 სტომატოლოგიური კლინიკა**
(ცოხნაძე რაინის ქ. № 303, ტ. 2662361)

აღნიშნულ კლინიკებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მაღალკვალიფიციური ექიმი-სტომატოლოგების მიერ ნარმოვს სრული სპეციალისტის სტომატოლოგიური მომსახურება

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლებას შესაბამისი კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა



„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ პირველია საქართველოში, სადაც სამედიცინო რეაბილიტაციის, ფიზიკური რეაბილიტაციის და მედიცინის მეცნიერებების დაფუძნება შესაძლებელია. რეგიონში პირველი საერთაშორისო გამოცდილებებზე დაფუძნებული მაღალკვალიფიციური სარეაბილიტაციო მომსახურების გარდა, კლინიკის შექმნის მიზანი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული კლინიკური სასწავლო ბაზის უზრუნველყოფა.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ცენტრალური ფილიალი თბილისში ოფიციალურად 2020 წლის ივლისში გაიხსნა. კლინიკის მცირე ფილიალმა კი მუშაობა 2018 წლის დეკემბერში დაიწყო ბათუმში.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ თბილისისა და ბათუმის ფილიალები ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის, ზრდასრულთა რეაბილიტაციის (ამ ეტაპზე მხოლოდ აჭარის ა/რ ფარგლებში) და ასევე, დამხმარე საშუალებების წარმოების (ორთეზების) სახელმწიფო პროგრამების პროვაიდერია.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული და სრული სარეაბილიტაციო კლინიკური ბაზა:

❖ თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ლელა მასხუღია);

❖ თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კენ ვოლკერის კლინიკის გენერალური დირექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი);

❖ თსსუ-ის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი (დირექტორი – პროფესორი ვალერი ახალკაცი);

❖ თსსუ-ის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დეპარტამენტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნელი კაკულია).

სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა პირველია ამიერკავკასიაში, რომელიც აღჭურვილია ამერიკული და ევროპული მაღალტექნოლოგიური სარეაბილიტაციო მოწყობილობებით და სპეციალისტების მქონე პირებს სთავაზობს სრულ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ (გუნდურ მიდგომაზე დაფუძნებულ) სარეაბილიტაციო მომსახურებას. „კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ თბილისისა და ბათუმის ფილიალები აწვდის სრულ სარეაბილიტაციო სერვისებს ბავშვებსა და ზრდასრულებს. კლინიკაში დანერგულია ყველა ის თანამედროვე მეთოდი, რომელიც სამედიცინო რეაბილიტაციაში გამოიყენება. საუნივერსიტეტო კლინიკაში დასაქმებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, USAID-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) ფიზიკური რეაბილიტაციის საგრანტო პროექტის სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადამზადებული ადგილობრივი სპეციალისტები.

მედიცინის დარგის სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი პრაქტიკული განათლებისა და გამოცდილების სწავლის პროცესში მიღება მნიშვნელოვანი ფაქტორია. „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტ-

ბი, თსსუ-ის მაგისტრები და რეზიდენტები. თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ მესუთუ სემესტრიდან იწყებენ, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები – მეურთმეტე სემესტრიდან.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ სრულ სარეაბილიტაციო მომსახურებას აწვდის პაციენტებს, შესაბამისად საუნივერსიტეტო კლინიკაში სწავლება მრავალპროფილურია: თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ ფიზიკურ თერაპევტებს, შეხება აქვთ ნევროლოგიურ, ორთოპედიულ, პოსტტრავმულ, პოსტტრავმულ პაციენტებთან. კლინიკის სარეაბილიტაციო სივრცეები საშუალებას იძლევა, პრაქტიკული მეცადინეობისთვის სტუდენტები მცირე ჯგუფებად განაწილდნენ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტის უკეთ მომზადებასა და განვითარებას.

კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის სასწავლო მიმართულებაში ჩართული სპეციალისტები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, რომელთაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში; ისინი წლებია თსსუ-ში სტუდენტების განათლებას უზრუნველყოფენ. აკადემიური პერსონალი მუდმივად იღვწის სამედიცინო მიმართულებებით: უწყვეტად მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული გაიდი-ლაინებისა და მეთოდური რეკომენდაციების შექმნაზე, ასევე – სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ „კენ ვოლკერის

სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ სწავლის დასრულებისთანავე დასაქმდნენ და შეუდგნენ უწყვეტ კარიერულ ზრდას: მიიღონ დიპლომის შემდგომი პროფესიული განათლება, ჩაერთონ კლინიკისთვის დაგეგმილ სხვადასხვა ტრენინგში და აიმალონ პროფესიული კვალიფიკაცია. თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს კი ეძლევათ შანსი, გახდნენ წარმატებული ექიმი რეაბილიტოლოგები, რომლებს დეფიციტსაც განიცდის საქართველოს ჯანდაცვის სისტემა. კლინიკაში სტაჟირების საშუალება, ასევე, ეძლევათ მოქმედ დიპლომირებულ ექიმებსა და ფიზიკურ თერაპევტებს.

„კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ კვლავდაკვალ მიჰყვება სამედიცინო რეაბილიტაციის მსოფლიო ტენდენციებს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად კლინიკა ფიზიკური თერაპევტებისთვის ახორციელებს პოსტდოპლომური უწყვეტი განათლების პროგრამას ბავშვების მიმართულებით. ანალოგიური სასწავლო პროგრამის შემუშავება მიმდინარეობს ზრდასრულების მიმართულებით. აგრეთვე, დაგეგმილია პოსტდოპლომური დახელოვნების სასწავლო პროგრამების შემუშავება უფრო ვიწრო პროფილით (აქვათერაპია, ნეიროგანვითარებითი თერაპია და ა.შ.). საქართველოში პირველად სწორედ „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ განახორციელებს ინოვაციურ მეთოდ ტკივილის მენეჯმენტის მიმართულებით. ამ მხრივ, კლინიკის გუნდი აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში კალიფორნიის ტკივილის მენეჯმენტის ცენტრთან. ამერიკული მხარის უშუალო ჩართულობითა და ტელემედიცინის გამოყენებით დაგეგმილია „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ პირველი პაციენტის კონსულტაცია, მართვა და მიღწეული შედეგების ანალიზი.

კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა
 თბილისი: ბუაჩაყაის ქ. № 4 (თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მიმდებარე);
 ბათუმი: ბაჟოს ქ. 8. (ყოფილი მომზადების № 40).

გაიქანო თბილისის სახელმწიფო საავიაციო უნივერსიტეტის იოვანე ჯორჯიას სახელობის ფინანსური ინსტიტუტი



ქართულ მეცნიერულ ფარმაცეუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ-ფარმაცეუტული განყოფილების დარსებით, 1919 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობით, საქართველოში პროფესორი იოვანე ჯორჯიას ფარმაცეუტის კათედრის გამგედ დაბრუნდა. მან, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ფართო მეცნიერული მოღვაწეობა გააძლიერა და კვლევები ისეთ დონეზე აიყვანა, რომ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შექმნა გახდა შესაძლებელი.

1932 წლის 5 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წიაღში ფარმაცეუტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა, რომელსაც სათავეში პროფესორი ი. ჯორჯიას ჩაუდგა. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით, იოვანე ჯორჯიას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულია.

ინსტიტუტში კვლევების განხორციელება თსუ-ის მისიის მნიშვნელოვანი ასპექტია და მიზნად ისახავს:

- ❖ ხარისხისა და შედეგებზე ორიენტირებული კვლევების უზრუნველყოფას;
 - ❖ სამეცნიერო-კვლევების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას;
 - ❖ პროფესიული კვლევების გაღრმავებას მომიჯნავე მეცნიერებთან და მის ინტეგრირებას;
 - ❖ საგანზე ორიენტირებულ და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას;
 - ❖ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისთვის სათანადო ზაზის შექმნას;
 - ❖ სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის მოტივირებას.
- ინსტიტუტის საქმიანობა განუყოფელია თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმისგან და ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, სტუდენტები ადრეული ეტაპიდან იწყებენ სამეცნიერო უნარ-ჩვევების დაუფლებას.

- ინსტიტუტის ამოცანები:**
- ❖ განახორციელოს ფუნდამენტური, გამოყენებითი და განვითარებაზე ორიენტირებული კვლევები საქართველოს ბუნებრივი რესურსებიდან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოვლენაში;
 - ❖ გამოვლენილ ნივთიერებათა ქიმიური ბუნების დადგენა, მათგან სინთეზური და ქიმიურად მოდიფიცირებული ნაერთების მიღება;
 - ❖ მიღებული ნაერთების ფარმაცეუტური ეფექტურობის შეფასება და ნაწილობრივი შესწავლა;
 - ❖ ბუნებრივი რესურსებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოების ტექნოლოგიები და ანალიზის მეთოდების შემუშავება;
 - ❖ საქართველოში მოზარდი პერსპექტიული მეცნიერების გავრცელების არეალები და რესურს-

ბის შესწავლა, მათი ინტროდუქცია და კულტივირება;

- ❖ ახალი სამკურნალო საშუალებების, კოსმეტიკური პროდუქტების, ბიოლოგიურად აქტიური კვების დანამატების შექმნა;
- ❖ ნებადართული პრეპარატების, კოსმეტიკური პროდუქტების, ბიოლოგიურად აქტიური კვების დანამატების წარმოება და რეალიზაცია;
- ❖ მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოამზადება ბუნებრივი რესურსების კვლევების დარგში.

ნამალთმცოდნეობას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს და იგი ქართველი ერის თვითმყოფადი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ადამიანი უსოვარი დროიდან იყენებდა მცენარეს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და ემპირიულად დაგროვილი ცოდნით კაცობრიობამ შექმნა სამკურნალო საშუალებათა მთელი არსენალი, მაგრამ მოქმედ ნივთიერებათა ბუნება არ იყო მათთვის ცნობილი. ფარმაცეუტის კვლევების განვითარებამ ნათელი მოჰფინა კაცობრიობის გამოცდილების საიდუმლოებას და აჩვენა, თუ როგორი როლი შედგენილობისაა მცენარის ცალკეული სახეობა, მასში სინთეზირებული ინდივიდუალური ნივთიერება, მისი ბიოლოგიური აქტივობა და სტრუქტურა, ფარმაცეუტური აქტივობის შორის დამოკიდებულება. ყოველივე ეს მეცნიერების ინტეგრირებას ზრდის და ფარმაცეუტური კვლევებისთვის განუსაზღვრელ პერსპექტივას სახავს.

სამკურნალო პრეპარატების შექმნა საქმად რთული პროცესია და სხვადასხვა მომიჯნავე დარგის (ფარმაცეუტის, ქიმიის, ტექნოლოგიის, ბიოლოგიის, მედიცინის და სხვა) სპეციალისტების ერთობლივ მოღვაწეობას მოითხოვს. ამ მიზნით, ინსტიტუტში ჩამოყალიბდა კომპლექსური სისტემა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ძიებიდან დაწყებული, მათი წარმოებით დამთავრებული. ინსტიტუტი აერთიანებს 5 სამეცნიერო-კვლევით დეპარტამენტს, 13 სამეცნიერო მიმართულებით და საწარმოო ექსპერიმენტულ ბაზას. სამეცნიერო საქმიანობას ეწევა 48 მეცნიერი თანამშრომელი, 8 დოქტორანტი და 7 ლაბორანტი.

ინსტიტუტის დაარსებიდან დაიწყო საქართველოს ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერი შესწავლა - ლაბორატორიის, ანტრაქინოზების, ალკალოიდების, სტეროიდული, ტერპენული, ფენოლური შენაერთების და სხვა თანმხლები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობაზე მედიცინაში, ფარმაცეუტულ პრაქტიკაში, პარაფიზიოლოგიის კოსმეტოლოგიასა და კვების მრეწველობაში გამოყენების მიზნით.

მეცნიერული და მინერალური ნედლეულის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებით შემუშავებულია სხვადასხვა დანიშნულების 26 ორიგინალური პრეპარატი, კოსმეტიკური პროდუქტი, ქიმიური რეაქტივი, მეცნიარის ზრდა-განვითარების სტიმულატორი. არაერთი კონკურენტუნარიანი პრეპარატი დარეგისტრირდა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, კერძოდ: კარიპაზიმი, ფლარონინი, კოლხინინი, ტრიბუსპონინი, რამინილი, კავსურონი, ფაციფლოგინი, დიგალენ-ნეო, ცარუბოლი, სატურინი, გინკოზათი, როდოპუსი, ფსორანტრონი, მედეა, ექსტრაალაქსი, თიხა-ასკანე, ასკანკოლი, ბენტობოლი, ბაია, ტიგოგენინი, თესაპონინი, ალექსინი, დიგიტონინი, ფრანგულა-ემოლინი, ტანინი.

შპს თბილისის სახელმწიფო საავიაციო უნივერსიტეტის იოვანე ჯორჯიას სახელობის ფინანსური ინსტიტუტი
 თბილისი: სანაპირის ქაზა № 36. ტ. +99532 2521904 +99532 2520023

გაიქანო თბილისის სახელმწიფო საავიაციო უნივერსიტეტის ჯ. ბახუაშვილის სახელობის საავიაციო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი



ვლ. ბახუაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით პროტენციალში. ბიოტექნოლოგია თითქმის ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა. საკვები, რომელსაც მიირთმევთ, ნამღლები, რომლითაც იკურნებით და საყვარელი შინაური ცხოველებიც კი, - ყველაფერი ეს ბიოტექნოლოგიის შედეგია.

დღეისათვის ბიოტექნოლოგია და ბიოინდუსტრია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მიღწეულ პროგრესს, რაც, ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველია.

ინსტიტუტში, მისი დამაარსებლის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუაშვილის, ხელმძღვანელობით, ადამიანის ექსტრემობრიო-ული ქსოვილებიდან მიღებული ახალი პრეპარატი - „პლაფერონი“. 2005 წელს პრეპარატი დაპატენტდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2009-2010 წლებში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, წარმატებით სამეცნიერო მუშაობისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დაჯილდოვდა წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დიპლომით მედიცინის დარგში.

ინსტიტუტში მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და გრანტების სახით (შობა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ფონდი, შვეიცარიის ეროვნული მეცნიერებათა ფონდი), დღეიდან ინტეგრირდა გამოიწვია ცნობილი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრების საერთაშორისო პარტნიორებსა (სპშ, ინგლისი, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, ლიეტუვა) და ზოგიერთ ფარმაცეუტულ კომპანიაში. ბოლო წლებში გამოქვეყნებულია 250-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, მაღალრეიტინგულ და ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

თანამედ შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით მხოლოდ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტშია შესაძლებელი სხვადასხვა მიდღეზე, მათ შორის, ცხოველებზე, ემბრიონებზე, უჯრედულ და ორგანულ კულტურებზე, ჩატარდეს მაღალი დონის სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერიმენტები. შესაძლებელია გამოყოფთ რამდენიმე მსხვილი მიმართულება:

- **მოლეკულური დიაგნოსტიკა და ბიომარკერების იდენტიფიცირება**, რომლის ფარგლებში ჩორციელდება უახლესი მოლეკულური სამედიცინო ტექნოლოგიების მოძიება და კლინიკურ პრაქტიკაში თანამედროვე დიაგ-

ნოსტიკური სერვისების დანერგვა, აგრეთვე, ახალი თერაპიული საშუალებები/ბიომარკერების გამოვლენა და შეფასება;

- **სამკურნალო ან/და ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა თუ პრეპარატების შექმნა** სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელზე მისი გამოცდა (მათ შორის, ნაწილობრივი ცხოველების გამოყენებით), მათი მოქმედებისა და მეცნიერების განვითარების მექანიზმების ახსნა მოლეკულურ დონეზე;

- **თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა კომპლექსური და ასაკთან ასოცირებული დაავადებების პათოგენეზის შესასწავლად**. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ინსტიტუტში ხორციელდება სამეცნიერო პროგრამები სხვადასხვა ფუნდამენტურ თუ კლინიკურ სპეციალობებში, კერძოდ, ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- ❖ რევმატოიდული აართრიტის წარმატებული მკურნალობის პროგნოზული ბიომარკერები;
- ❖ ბიომარკერებისა და გენეტიკური მუტაციების ინტეგრირებული შესწავლა კოლორექტული კიბოს დამიზნებითი თერაპიის შემუშავებაზე;
- ❖ იმუნურ პასუხებთან ასოცირებული გენეტიკური და ეპიგენეტიკური მოდიფიკატორები კისტური ფიბროზის დროს;
- ❖ კიბოს, დიაბეტის და სხვა ქრონიკული დაავადებების რისკ-ფაქტორების შემცირება მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით და გამდიდრებული ფუნქციური კვების პროდუქტების შექმნა;
- ❖ ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია, როგორც გარემოს მიმე მტვერებით დაბინძურების სავარაუდო ბიოინდიკატორი;
- ❖ ურთიერთკავშირი მარტივ-გრძობიარე ესენციურ ჰიპერტენზიასა და მეტაბოლურ სინდრომს შორის;
- ❖ ადამიანის პლაცენტის ქსოვილებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღება და თვისებების შესწავლა, პრაქტიკული მედიცინისათვის სხვადასხვა სამკურნალო ფორმების შექმნა;

ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა ახალგაზრდებს; დღეისათვის ინსტიტუტში აღზრდილები მუშაობენ ამერიკაში, გერმანიაში, პოლანდიაში, საფრანგეთში და არაერთი ევროპული ქვეყნის ლაბორატორიებში. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტები და დოქტორანტები.

შპს თბილისის სახელმწიფო საავიაციო უნივერსიტეტის ჯ. ბახუაშვილის სახელობის საავიაციო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
 თბილისი: ბაიაშვილის ქაზა №76 ტ. +99532 2540725

გაიქანნი

საერთაშორისო უნივერსიტეტების დაარსება

საერთაშორისო უნივერსიტეტების დაარსებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს საერთაშორისო უნივერსიტეტების განვითარებას გლობალური მასშტაბით.

სამედიცინო უნივერსიტეტში ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს განვითარების ოცნებას მცხდებს ისიც, რომელიც 2012 წლიდან დაიწყო. 1996 წლიდან – მედიცინის ფაკულტეტზე; 2008 წლიდან – ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე; 2013 წლიდან – ფარმაციის ფაკულტეტზე, 2017 წლიდან – სტომატოლოგიის ფაკულტეტზე. 2012 წლიდან მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე უცხოეთის მოქალაქეებისთვის დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამები ამოქმედდა.

2018 წელს თსუ-ში გაიხსნა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი, რომელიც 2019 წელს სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი პროგრამები შეუერთდა, რის გამოც მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი გახდა.

ამჟამად თსუ-ში 2900-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 80 ქვეყნიდან, მათ შორის: ინდოეთიდან, შრი-ლანკიდან, თურქეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან, ნიგერიიდან, ერაყიდან, ავსტრალიიდან, ცენტრალური ამერიკიდან და სხვ.

2012 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე

გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც შემუშავდა გერმანიის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიისთან (UniMan) ერთად. პროგრამის დასრულების შემდგომ გაცემა ორმაგი დიპლომი – ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს აფართოებს და მიმზიდველს ხდის. 2015 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და UniMan-ის ძალისხმევით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე შეიქმნა ერთობლივი საერთაშორისო ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა“.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის – AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

ამჟამად თსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, HORIZON, MELVANA და სხვა).

შემოაღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიანი მოხილობის პროგრამებში განათლების დიპლომირების, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორებში. თსუ-ის კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ-ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვა) ეძლევათ შესაძლებლობა დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში ნარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის უნივერსიტეტების ნამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში, 2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორების 600-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში, პროფესორებმა ნაიკითხეს თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში, ჩაატარეს კონსულტაციები და საქველმოქმედო ოპერაციები თსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

საინტერესო და დინამიური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესორა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი ნარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია.

პარტნიორი უნივერსიტეტები:

ავსტრია

- ენის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტი

ინსბრუკის უნივერსიტეტი

- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW)

აზერბაიჯანი

- აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი

აშშ

- ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა
- ოლბანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

ესპანეთი

- სკრეინინგის უნივერსიტეტი

ბელგია

- ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
- ლიეჟის უნივერსიტეტი

ბელორუსია

- ბელორუსის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების აკადემია
- ბელორუსის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გერმანია

- გროდნოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ვიტებსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ბულგარეთი

- სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ვარნის სამედიცინო უნივერსიტეტი
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი

გერმანია

- ეინის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
- ოლდენბურგის კარდოქიურგოლოგიური კლინიკა
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი
- მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი
- დუსელდორფის ება-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკა
- შპინდლბერგის სამედიცინო უნივერსიტეტი
- მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი
- ბოლოუს აბანტი იზეთ ბაიასალის უნივერსიტეტი

ვერსიტეტი

- ალრი იბრაჰიმი ჩეჩენის უნივერსიტეტი
- ათათურქის უნივერსიტეტი
- ეგეოსის უნივერსიტეტი
- ერზინჯანის უნივერსიტეტი
- შაჯუტეპეს უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი
- ონდოკუზ მანის უნივერსიტეტი
- რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი
- არდაღანის უნივერსიტეტი
- ბეიკენის უნივერსიტეტი
- ჯანდაცვის მეცნიერებების უნივერსიტეტი

თურქეთი

- მურათ გარეივის სახელობის თურქეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ინდოეთი

- კიტიის უნივერსიტეტი

ისრაელი

- ნეგევის ბენ-გურიონის უნივერსიტეტი
- არიელის უნივერსიტეტი

იტალია

- კამპანიის უნივერსიტეტი „ლუიჯი ვანვიტელი“, ნეაპოლი
- რომის უნივერსიტეტი „ტორ ვერგატა“
- გენუის უნივერსიტეტი
- სალერნოს უნივერსიტეტი
- პადუას უნივერსიტეტი
- პიზის უნივერსიტეტი

კანადა

- კვებეკის უნივერსიტეტი

ლატვია

- რიგის სტრადინის უნივერსიტეტი
- დაუგავილის სამედიცინო კოლეჯი

მაროკო

- კასაბლანკას შან II უნივერსიტეტი

მოლდოვა

- ნიკოლაე ტესტემიტანუს მედიცინისა და ფარმაციის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიდერლანდები

- როტერდამის ბებიაქალთა აკადემია

ნორვეგია

- ბერგენის უნივერსიტეტი

პოლონეთი

- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი
- ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტი
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი

სიღვიბის უნივერსიტეტი კატოვიცეში

- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი
- იაგელონის უნივერსიტეტი

პორტუგალია

- კოიმბრას უნივერსიტეტი

რუმინეთი

- ბაბეშ-ბოლიაის უნივერსიტეტი
- მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი „კაროლ დავილა“
- გლათის დანუბოუსის უნივერსიტეტი
- სიბოუს ლუჩან ბლაგას უნივერსიტეტი
- ჯორჯ ემილ პალადის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ტირგუ მურეში, რუმინეთი)

სომხეთი

- ერევანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

საფრანგეთი

- მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი
- გაერთიანებული ერების უნივერსიტეტი
- პარიზის ვალ-დე-მარნის უნივერსიტეტი
- მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია

სლოვაკეთი

- ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ავიცენას სახელობის ტავაიკეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ავიცენას სახელობის ტავაიკეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ავიცენას სახელობის ტავაიკეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ავიცენას სახელობის ტავაიკეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სლოვაკეთი

- ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი

გაიქანნი



თანამედროვე სამყაროში ცხოვრება, კომუნიკაცია და წარმატებული პროფესიული საქმიანობა წარმოუდგენელია უცხოური ენების ცოდნის გარეშე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ბოლონის პროცესის მონაწილე ევროპულ უნივერსიტეტთა დიდი ოჯახის წევრია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კურსულელების ფარგლებში, ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამედიცინო უცხოური ენისა და ტერმინოლოგიის (ლათინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლება, ასევე, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ცოდნის სრულყოფა უცხოურ ენებში სპეციალური პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით.

ცენტრთან მოქმედებს უცხოური ენების ინტენსიური სწავლების ფასიანი კურსები, სადაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან როგორც უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული), ტრადიციული და ზოგადი გაგებით, ასევე, დარგობრივ სამედიცინო ენასა და ტერმინოლოგიას. მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია.

უცხოური ენების ცენტრი

უცხოური ენების ცენტრში მოქმედებს ბერლინის ლიჰტენბერგის ინსტიტუტის უცხოური ენების და თსუ-ის უცხოური ენების ცენტრების ახალი ერთობლივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გერმანული ან ინგლისური ენების კურსის ბოლო ორი კვირის გავლას გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში. ენის შესწავლის გარდა სტუდენტები გაეცნობიან გერმანულ კულტურას და ლირმესანიშნობებს.

კურსებზე მიიღებიან, როგორც სტუდენტები, ისე ექიმები და სხვა დაინტერესებული პირები. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე სასწავლო მასალები; ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე აუდიოვიზუალური, კომპიუტერული და ბიომეტრიული სასწავლო მასალებით, სადაც მეცადინეობები ტარდება უახლესი კომპიუტერული პროგრამებით, როგორც მასწავლებლების ზედამხედველობით, ისე – დამოუკიდებლად. კურსის დასასრულს გაიცემა ევროპული ენების სწავლების ერთიანი ჩარჩო-პროგრამის შესაბამისი დონის (A1, A2, B1, B2, C1) სერტიფიკატები.

ცენტრში არსებობს თურქული ენის უფასო კურსები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

ცენტრის თანამშრომლებს მიერ გამოიცა სახელმწიფო ენები ინგლისურა (English for Medical Professions) და გერმანულ (Deutsch für Mediziner) ენებში, რომლებიც ნარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში.

უცხოური ენების ცენტრს 2014 წლის 1

უცხოური ენების ცენტრი


ოქტომბრიდან აქვს UNICert®-ის აკრედიტაცია და გასცემს უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს აკრედიტებულ ენებში (გერმანული, ინგლისური), ცოდნის დონის საფეხურების შესაბამისად. ეს სერტიფიკატი სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში და პროფესიული პრაქტიკა გაიარონ ევროკავშირის ქვეყნებში. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრში შესაძლებელია DSH-ს (Deutsches Sprachdiplom für den Hochschulzugang) გამოცდის მონაწილეობა კურსის გავლა და გამოცდის ჩაბარება. ენის დიპლომი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს უფამოცდოდ გააგრძელონ სწავლა გერმანიის უნივერსიტეტებში და DAAD-ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში გათავისუფლდნენ ენის გამოცდების ჩაბარებისგან.

ცენტრში მიღებული უცხოური ენების ცოდნა თსუ-ის სტუდენტებმა პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენეს უნივერსიტეტში აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების ნამყვანი პროფესორ-მედიკოსების ვიზიტის მასპინძლობის დროს. სტუდენტებს მიერ ნაკითხული ლექციები, სტუდენტებმა სინქრონულად ნარმატებით თარგმნეს და საერთაშორისო პროფესორების და მსმენელების მონონება დაიმსახურეს.

უცხოური ენების ცენტრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაშიც აქტიურად არის ჩართული. მას განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს გერმანულენოვანი ქვეყნების ნამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან. უცხოური ენების ცენტრში მოპოვებული სერტიფიკატის დახმარებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ გერმანულენოვან კლინიკებში ან მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებს, რეზიდენტებს და ექიმებს, ჩვენს პარტნიორ ბერლინისა და მიუნსტერის უნივერსიტეტებში (გერმანია) ვთავაზობთ, როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ სამედიცინო გერმანული ენის საზაფხულო კურსს, სტაჟირებას. გერმანიაში ყოფნის დროს მათ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის კარიერის თქვენთვის – მოემზადეთ ნარმატებისთვის!

გაიქანნი



უცხოური ენების ცენტრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაშიც აქტიურად არის ჩართული. მას განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს გერმანულენოვანი ქვეყნების ნამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან. უცხოური ენების ცენტრში მოპოვებული სერტიფიკატის დახმარებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ გერმანულენოვან კლინიკებში ან მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებს, რეზიდენტებს და ექიმებს, ჩვენს პარტნიორ ბერლინისა და მიუნსტერის უნივერსიტეტებში (გერმანია) ვთავაზობთ, როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ სამედიცინო გერმანული ენის საზაფხულო კურსს, სტაჟირებას. გერმანიაში ყოფნის დროს მათ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის კარიერის თქვენთვის – მოემზადეთ ნარმატებისთვის!

უცხოური ენების ცენტრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაშიც აქტიურად არის ჩართული. მას განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს გერმანულენოვანი ქვეყნების ნამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან. უცხოური ენების ცენტრში მოპოვებული სერტიფიკატის დახმარებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ გერმანულენოვან კლინიკებში ან მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებს, რეზიდენტებს და ექიმებს, ჩვენს პარტნიორ ბერლინისა და მიუნსტერის უნივერსიტეტებში (გერმანია) ვთავაზობთ, როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ სამედიცინო გერმანული ენის საზაფხულო კურსს, სტაჟირებას. გერმანიაში ყოფნის დროს მათ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის კარიერის თქვენთვის – მოემზადეთ ნარმატებისთვის!

გაიქანნი

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ხანის ხანსი

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი/დეპარტამენტი უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით, თანამედროვე კომპიუტერული და მალტექნოლოგიური სასწავლო აპარატურით — სამედიცინო სიმულაციებით — აღჭურვილი სასწავლო ცენტრია, რომელიც მომავალი მედიკოსების მიერ კლინიკური უნარების კვალიფიკაციად ათვისების მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება.

თსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ინიციატივით და მხარდაჭერით, კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი გამდიდრდა თანამედროვე სამედიცინო სიმულაციებით და მულტიმედია — ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო კორპორაციების პროდუქტებით, როგორებიცაა: Gaumard, Nasco Life/Form, Limb and Things, Laerdal, 3B Scientific, Kyoto kagaky, Anatomage.

2012-2013 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი შევიდა მედიცინის ფაკულტეტის კურსულუმში, ხოლო, საკუთრივ, სასწავლო კურსის შინაარსი სრულად მოიცავს მედიცინის დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ კლინიკურ უნარებს — მარტივი პროცედურებიდან მალტექნოლოგიური სიმულაციების გამოყენებამდე, გადაუდებელი და რეანიმაციული პაციენტების სამედიცინო შემთხვევების სრულ მართვამდე. კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება მიმდინარეობს მესამე-მეოთხე, მეშვიდე-მეჩვიდმეტი და მეთერთმეტე-მეთორმეტე სემესტრებში. აბსოლუტურად განსხვავებული და საინტერესო პროგრამით, სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტთა ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. სტუდენტები სიმულატორებზე და მანეკენებზე სწავლობენ სხვადასხვა მანიპულაციის და პროცედურის ჩატარებას: კანში, კუნთში, ვენაში ინექციებს, ბაზისურ სასიცოცხლო ალგორითმზე დაფუძნებულ გადაუდებელ სამედიცინო დახ-



მარებას ახალშობილებსა და მოზრდილებზე, სისხლდენის შეჩერებასა და ნახვევის დადებას, გულსისხლძარღვთმცოდნეობის აუსკულტაციას, ნაკერების დადებას და სამედიცინო-გინეკოლოგიურ მანიპულაციებს.

თსუ-ის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ცენტრის ბაზაზე გაიარონ პრაქტიკული სასწავლო კურსები მენარბასა და გინეკოლოგიაში, რეანიმაციაში, თერაპიაში და ქირურგიაში; კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ინტეგრირებული სილაბუსი აქვს მეანობა-გინეკოლოგიაში, პედიატრიაში და შინაგან დაავადებათა დეპარტამენტებში.

აღნიშნული ინტეგრირებული კურსების გავლის შემდეგ, კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში, ტარდება გამოცდები OSCE-ის (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) ტიპით, რაც მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სიახლე და პროგრესული ნაბიჯია სამედიცინო განათლების სისტემაში.

2017 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი სიმულაციური სადგურების ეროვნულ დირექტორიაში შესული.

2018 წელს თსუ-ის სრული ავტორიზაციის ფორმატში კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის მუშაობა საუკეთესო პრაქტიკად შეფასდა.

2020 წელი გამონვევებითა და სირთულეებით იყო აღსავსე, თუმცა ცენტრმა, პირველ ეტაპზე, სწრაფად შეძლო დაესტაბილურა სწავლებაზე გადასულიყო. 2021 წლის სექტემბრიდან ცენტრი სრული დატვირთვით და შეუფერხებლად მუშაობს კოვიდრეგულაციების დაცვით, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, ყველა სასწავლო სილაბუსის ფარგლებში, სრულად განახორციელონ პრაქტიკული პროცედურები და მანიპულაციები.

სტუდენტებთან კომუნიკაციის გააძვირების მიზნით, შეიქმნა ცენტრის ვებ-გვერდი, სადაც სტუდენტებს წვდომა აქვთ სასწავლო ცხრილებზე, სილაბუსის შემოკლებულ ვერსიაზე, შეფასების სისტემაზე, სასწავლო მასალებზე და ა.შ.

ცენტრი, საქართველოს და ევროპის სხვა უნივერსიტეტებთან ერთად, პროექტ „SAFEMED“-ის განხორციელებაში მონაწილეობს. პროექტი ERASMUS+-ის პროგრამის 2020 წლის კონკურსის გამარჯვებულაა და მისი მიზანია სამედიცინო განათლებაში სიმულაციური სწავლების ინტეგრაცია და მისი ხარისხის ამაღლება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აქტივობები, შეხვედრები; ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები სიმულაციორებზე და მანეკენებზე მუშაობისა და სწავლების შეფასების მიმართულებით.

ცენტრის აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, რეგულარულად მონაწილეობს სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) მიერ ჩატარებულ სასწავლო ტრენინგებში.

გაიქანნი

სამედიცინო უნარ-ჩვევების ხანის ხანსი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამედიცინო კვლევის საფუძვლების კურსის განხორციელება და სამედიცინო კონფერენციების, ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება, სტუდენტთა სამედიცინო კვლევებში ჩართულობის მხარდაჭერა და დახმარება.

ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მიზნად ისახავს სტუდენტებში განავითაროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრიციპები და ცოდნის გამოყენების უნარები; სამედიცინო პრაქტიკაში ბიოსამედიცინო კვლევის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, სწორი დასკვნების გაკეთების და მათი პრაქტიკაში განხორციელების უნარები. სტუდენტები, აღნიშნული კურსის ფარგლებში, სწავლობენ კრიტიკულ/მეცნიერულ აზროვნებას, სტუდენტის სამედიცინო ინტერესის სფეროში ინფორმაციის მოძიებას არსებული სამედიცინო რესურსებიდან, კრიტიკულ კითხვასა და ანალიზს, სამედიცინო კვლევის დაგეგმვა-ჩატარებას, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით, თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ახალგაზრდა მეკვლევები მუდმივად იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამედიცინო კონგრესებში/კონფერენციებში,

ასევე, მათი ხელმძღვანელობით სხვადასხვა სამედიცინო ჟურნალში იბეჭდება ახალგაზრდა მეცნიერების სამედიცინო პუბლიკაციები.

სამედიცინო უნარ-ჩვევების კურსის სწავლების ძირითადი მიზნები და სტრატეგიები ასოცირდება მსოფლიო სამედიცინო განათლების - AMEE-ის (AMEE - RESME - Research Essential Skills in Medical Education) ძირითად პრინციპებსა და მიდგომებთან.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა: მეთოდური რეკომენდაციები — „სამედიცინო კვლევის საფუძვლები“ (2014 წ.); საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში ჩატარებული კონფერენციების მასალები (2015-2017 წლები); მეთოდური რეკომენდაცია — „ბიოსამედიცინო კვლევის პრაქტიკული საკითხები“, ორიგინალური სახელმძღვანელო — „მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები“ (2016 წ.), ხოლო მის განახლებულ გამოცემას („სამედიცინო კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები“, 2018 წ.) დაემატა ადამიანის მონაწილეობით მიმდინარე კვლევების, ცხოველებზე ნარმოებული კვლევის ეთიკის საკითხები; კვლევის მონიტორინგის, მისი ხარისხის შეფასების საკითხები. 2020 წელს კი ცენტრის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადდა და გამოვიდა რიგით მესამე სახელმძღვანელო სახელწოდებით — „ბიოსამედიცინო კვლევის საფუძვლები და უნარ-ჩვევები“. წინა (2018 წლის) გამოცემას დაემატა სამედიცინო საძიებო ბაზებთან დაკავშირებული სიახლეები, სტატისტიკური ანალიზის პროგრამის - SPSS-ის, მეტაანალიზის და სისტემური მიმოხილვის საკითხები; სამედიცინო დონტოლოგიის და იატროგენიის საკითხები; ინფორმაცია პლაგიატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ელექტრონული პლატფორმების და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ.

მთხრომლის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების და საერთაშორისო სამედიცინო განათლების მოთხოვნების გათვალისწინებით, სამედიცინო კვლევის საფუძვლების სწავლებას დაემატა პრაქტიკული საბაზისო ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული უნარების სწავლების

საკვანძო საკითხები, რაც, თავის მხრივ, მომავალში ხელს შეუწყობს მომავალი ექიმების მეცნიერებით დაინტერესებას.

სამედიცინო სფეროს პროგრესი ეფუძნება უწყვეტი განათლების პრინციპს, რაც კლინიკური უნარ-ჩვევებისა და თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად, ინტენსიურ სამედიცინო საქმიანობის საჭიროებას გულისხმობს. ამასთანავე, დღესდღეობით არსებობს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მზარდი მოთხოვნა. სწორედ ამიტომ სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრში ჩამოყალიბდა სტუდენტთა სამედიცინო-კვლევითი კლუბი „ენდავორი“ (ENDEAVOR). კლუბის სახელწოდება მუდმივი სწრაფობისა და ძიების პროცესს უკავშირდება. სამუშაო ვგუფო მიზნად ისახავს სტუდენტებში სამედიცინო კვლევის მიმართ ინტერესის გაღვივებას სამედიცინო სფეროს პოპულარიზაციის გზით. კლუბის ძირითადი ამოცანაა სტუდენტების ჩართვა აქტიურ სამედიცინო საქმიანობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორასთან ერთად. აღნიშნული კლუბი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს კვლევების ორგანიზებაში, სამედიცინო სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ფორმით გამოქვეყნებაში, შესაბამისი სამედიცინო პორტალისა თუ კონფერენციის/სიმპოზიუმის მოძიებაში, როგორც კვლევის ჩატარებასთან, ისე მის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეების დაძლევაში. სტუდენტური კლუბი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, მეცნიერებით დაინტერესებული პირები დაუკავშირდნენ ერთმანეთს, გაუზიარონ გამოცდილება და კვლევასთან დაკავშირებული იდეები. ეს გადავიწყობს ისეთი ფართომასშტაბიანი პროექტების ორგანიზებას, რომელთა განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა ინდივიდუალური აქტივობის ფარგლებში. სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით სამედიცინო კლუბის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული პროექტები ეფუძნებიან იქნება როგორც თსუ-ის სტუდენტების ინდივიდუალური კარიერული ზრდის თვალსაზრისით, ასევე, მთლიანად უნივერსიტეტის ეროვნული თუ საერთაშორისო პრესტიჟისთვის.

გაიქანნი

ბიბლიოთეკა

ბოლო პერიოდში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით ბიბლიოთეკამ ძირითადი აქცენტი გადაიტანა ახალი ელექტრონული რესურსების დანერგვასა და არსებულ განვითარებაზე. 2021 წელს, ჩვეულებრივ, ბექდური ნიგნებისა და პერიოდიკის შექმნასთან ერთად, ბიბლიოთეკა კვლავ აგრძელებდა სხვადასხვა ახალი და საინტერესო სერვისის მთავაზვებას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

რეგულარულად მიმდინარეობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდის განახლება; ემატება სხვადასხვა მონაცემთა ბაზა: <https://tsmu.edu/ts/library/>

ხორციელდება ცნობილ მონაცემთა ბაზის საცდელი ვადით ჩართვა, რომლის გასვლის შემდეგ, გამოცემის მიერ გამოგზავნილი ბაზების გამოყენების სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე, ბიბლიოთეკა საზღვრავს მომავალი წლისთვის მათი გამოწერის პირობებს.

2021 წელს საცდელი ვადით ჩართული იყო შემდეგი ბაზები:

2021 წლის 1 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით — გამოცემლობა McGraw Hill-ის სხვადასხვა მიმართულების 4 ბაზა, სადაც თავმოყრილია ყველა საჭირო სასწავლო, აუდიო და ვიდეომასალა. მათ შორის, — USML სერიის ელექტრონული ნიგნები. 2021 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით გამოცემლობა Japeedigital-ის ჯანმრთელობის მეცნიერების ყოვლისმომცველი პლატფორმა, უზალო კოლეჯით, ჯანდაცვის პროფესიონალების, პედაგოგების, მეკვლევარებისა და სტუდენტების ყველა სექტორისთვის.

2020 წელს, უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ელექტრონული ნიგნების ასატვირთი პროგრამა „Nexsus“-ით, აიტვირთა 900-ზე მეტი სასწავლო ნიგნის ელექტრონული ვარიანტი. ატვირთულ ნიგნებზე წვდომა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვს. რვა-ათასზე მეტ სტუდენტს გაეხსნა

პროგრამაში სამუშაო პირადი ანგარიში. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ნაკითხულ იქნა 11 ათასზე მეტი ელექტრონული ნიგნი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 2019 წლიდან აქტიურად ჩაერთო საავტორო უფლებების დაცვის პროგრამაში და სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით მიმდინარეობს სამაგისტრო, სადოქტორო დისერტაციის და მასალის შემოწმება პლაგიატიზმის გამოვლენისთვის. 2021 წელს პროგრამაში და ბაზაში დაემატა 172 სამაგისტრო ნაშრომი და დისერტაცია. არსებულის გარდა, ცალკე ბაზაში დაემატა ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ბექდურიდან ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი 70 დისერტაცია.

ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ დაარსებული ასოციაციის — „ასოციაცია მეცნიერების“ — მიერ შექმნილი უნივერსიტეტის სამედიცინო შრომათა კრებულის განახლებულ ვებგვერდზე უკვე განთავსებულია უზრუნველყოფის

ელექტრონული ვერსიები 2000-2022 წლების ჩათვლით.

2021 წელს ჟურნალი დარეგისტრირდა უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი ინდექსირების ბაზა crossref-ში. მას მიენიჭა დოი (DOI) (ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი) და ელექტრონული ISSN. გაეხსნა google scholar-ის ანგარიში.

❖ 2021 წელს ბიბლიოთეკამ, სხვა უცხოურენოვანი ელექტრონული პერიოდიკის გამოწერის პარალელურად, გამოიწერა 20 დასახელების რუსულენოვანი ელექტრონული ჟურნალი;

❖ რესტავრაცია გაუკეთდა 500, ყველაზე მოთხოვნად, დაზიანებულ ქართულენოვან ნიგნს;

❖ სტუდენტებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად გაიხსნა ბიბლიოთეკის facebook გვერდი: <https://www.facebook.com/tsmulibrary/>;

❖ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მიერ, 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ფარმაცია

ფაკულტეტის, ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიების სამაგისტრო — საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, ჩატარდა ორრედიტანტი ორკვირიანი ლექციების კურსი: საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში. სასწავლო კურსის სწავლების მიზანია სტუდენტის მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე მეცნიერებაში.

❖ მსგავსი ტრენინგები 2021 წელს ჩატარდა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსაც.

❖ ჩატარდა სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვა.

❖ ბიბლიოთეკა აქტიურად ეხმარება აკადემიურ პერსონალს ახალი სახელმძღვანელოების შექმნაში. 2021 წელს ბიბლიოთეკის დახმარებით ცნობილი გამოცემლობა „ელსევიერისაგან“ მოვიპოვეთ ინგლისურ ენაზე არსებული ორთოდონტიის ფუნდამენტური სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე თარგმნისა და ბექდვის უფლება.

გაიქანნი

ინფრასტრუქტურული პროექტები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კლინიკური აქტივობა და სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს ოთხ სასწავლო და ნაწილობრივ ადმინისტრაციულ კორპუსში, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, გვი ყვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში“, თსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტიმატოლოგიურ კლინიკაში და თსუ-ის I და II სტრმატოლოგიურ კლინიკებში, ასევე, - თსუ-ის იოვლ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტსა და თსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

მუდმივად მიმდინარეობს უნივერსიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბოლო წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

- ❖ თსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარედ დასრულდა სამი სკვერის კეთილმოწყობითი სამუშაოები;
- ❖ ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულზე დასრულდა დაშენებითი სამუშაოები საკონფერენციო დარბაზებისა და სარეკრეაციო სივრცის მოსაწყობად, უახლოეს მომავალში კვების კიდევ ერთი ობიექტი გაიხსნება თსუ-ის პირველ სასწავლო კორპუსში, სპეციალურად მოწყობილ სივრცეში.
- ❖ დასრულდა დაშენება ადმინისტრაციული კორპუსის ორსართულიან შენობაზე;
- ❖ მიმდინარეობს მეორე სასწავლო კორპუსის სარემონტო სამუშაოები;
- ❖ დასრულდა მიშენება პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაზე.
- ❖ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე დასრულდა თანამედროვე ტიპის მსუბუქი კონსტრუქციის მქონე სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა;
- ❖ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ეზოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას, რომელიც გამოყენებული იქნება ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის ფუნქციონირებისთვის; მთლიან ტერიტორიაზე კი დასრულდა დენდროლოგიური პროექტის განხორციელება;
- ❖ დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა თსუ-ის გვი ყვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიმდებარედ ახალი, ხუთსართულიანი ნაგებობა, რომელიც ხიდი დაუკავშირდა ძირითად შენობას;
- ❖ ახალი კორპუსი დაემატა შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკას.

თარების აკადემიის ფუნქციონირებისთვის; მთლიან ტერიტორიაზე კი დასრულდა დენდროლოგიური პროექტის განხორციელება;

❖ დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა თსუ-ის გვი ყვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიმდებარედ ახალი, ხუთსართულიანი ნაგებობა, რომელიც ხიდი დაუკავშირდა ძირითად შენობას;

❖ ახალი კორპუსი დაემატა შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკას.

თარების აკადემიის ფუნქციონირებისთვის; მთლიან ტერიტორიაზე კი დასრულდა დენდროლოგიური პროექტის განხორციელება;

❖ დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა თსუ-ის გვი ყვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიმდებარედ ახალი, ხუთსართულიანი ნაგებობა, რომელიც ხიდი დაუკავშირდა ძირითად შენობას;

❖ ახალი კორპუსი დაემატა შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკას.



კლინიკაში 2020-2021 სასწავლო წელს განლაგდა თსუ-ის კლინიკური დეპარტამენტები; ❖ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ფსიქონეუროლოგიური კლინიკის მშენებლობისთვის.

გაიქანნი

თსუ-ის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი



მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი) 1963 წელს მედიცინის ისტორიის მკვლევარის, პროფესორ მიხეილ შენგელიას მიერ დაარსდა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 2018 წლიდან, განახლებული სახით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს.

მუზეუმის კოლექციაში 19 ათასზე მეტი ექსპონატი ინახება, მათ შორის – სამედიცინო ხელნაწერები, არქეოლოგიური არტეფაქტები და ანთროპოლოგიური მასალები, ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალები, სამედიცინო ხელსაწყოები, ფოტომასალები, ფილმები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა.

ფონდში დაცულია ცნობილი ქართველი მედიკოსების პირადი არქივები და რარიტეტული სამედიცინო ლიტერატურა.

ექსპონატების დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და ოთხი ათეული

წლის განმავლობაში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგადაა მოპოვებული.

მასალა შესწავლილი და დამუშავებულია მეცნიერული თვალსაზრისით, მონოდებულა მათი თანამედროვე მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობები.

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი კავკასიის რეგიონში ამ პროფილის ერთადერთი მუზეუმი, რომელიც ახალგაზრდებისთვის ცოდნის ამაღლებისა და გავითარების მიზნით მოწოდებს ცენტრად იქცა.

გაიქანნი

კულტურის ხანძარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრი მდიდარი კულტურული ცხოვრებითა და განსაკუთრებული მიღწევებით არის გამორჩეული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი „ქართული ფოლკლორი“, დრამატული თეატრი „ჰიგია“, თანამედროვე და სამედიცინო ცეკვების ანსამბლი „ვევა“, ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის გოგონათა ანსამბლი „დეკა“, ვოკალური ანსამბლი, კლასიკური მუსიკისა და საერთაშორისო სტუდენტთა ჯგუფები საუკეთესო ასპარეზია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისთვის.

შთამბეჭდავია სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ქართული ფოლკლორის“ 37-წლიანი ისტორია და მიღწევები (ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია თსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, იტალიის კულტურის პრემიისა და ორდენი „ამაგდარის“ მფლობელი ბადრი მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი - ანსამბლ სუბიმიკლების ყოფილი მსახიობი-მოცეკვავე, ლეგენდარული თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღირსების ორდენის კავალერი - დავით უგრეხელიძე, ქორეოგრაფი - ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი - ინეზა კუპრეიშვილი, ლოტბარი - დავით რატიანი,

ნი, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი): ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების და ფესტივალების 7 მთავარი პრიზის მოპოვება და ლაურეატობა, 3 ოქროს მედალი, ევროპარლამენტის დიპლომი, საპატიო - „სახალხო ანსამბლის“ წოდება (1994 წელი), „საუკეთესო სტუდენტური ანსამბლის წოდება“ (იტალია - 1996 წელი, თბილისი - 2014 და 2019 წლები), საქართველოს სატელევიზიო კონკურსებში გამარჯვებული (2010 წ.), წარმატებული საგასტროლო მოგზაურობები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სტუდენტური შეერთებულ შტატებში, 2021 წლის 15 დეკემბერს კი, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის კოლეგიამ ანსამბლს კიდევ ერთი, „დამსახურებული ანსამბლის“, საპატიო წოდება მიანიჭა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დრამატულ თეატრ „ჰიგიას“ 20 წლიანი ტრიუმფალური სვლა: 20 პრემიერა, უდიდესი წარმატებები ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებზე, წარმატებული გასტროლები თურქეთში, შვედეთში, აზერბაიჯანსა და მონაკოში. ახლახან „ჰიგიაში“ რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ სცენაზე, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ეგზიუტის ლიტერატურული შედეგების - „პატარა უფლისწულის“ - მიხედვით დადგმული საექსპლემენტარული ნარადგინა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. თეატრის რეჟისორის, თსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ნათია გუჯაბიძის, ინიციატივით დაარსდა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი „ნიდაბი“, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება. თსუ-ის სტუდენტური თეატრი

„ჰიგია“ მრავალი ნომინაციის მფლობელი გახდა და დასახლდა საუკეთესო სტუდენტურ თეატრად. ამ წარმატებებისათვის თეატრს მიენიჭა საპატიო „სახალხო თეატრის“ წოდება.


უნივერსიტეტის ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე და სამედიცინო ცეკვების ანსამბლი „ვევა“ (ხელმძღვანელი, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრებისა და კონკურსების გამარჯვებული ია კვირიკაშვილი), რომელიც მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო კულტურულ ცხოვრებაში.

სტუდენტებში პოპულარულია თსუ-ის საერთაშორისო სტუდენტთა ცეკვის ჯგუფები (კოორდინატორი - მარიამ მაჭავარიანი), რომელთა გამოსვლა უნივერსიტეტის „თეატრალურ დარბაზში“ ყოველთვის ანშლავით მიმდინარეობს.

მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს კლასიკური მუსიკის ჯგუფის (ხელმძღვანელი, მრავალ საფორტეპიანო კონკურსში გამარჯვებული - გოდერძი ჩიტაიშვილი) და ტრადიციული მუსიკისა და სიმღერის გოგონათა ანსამბლ „დეკას“ (ხელმძღვანელი - დავით რატიანი, ხალხურ საკრავებს ხელმძღვანელობს მონანილო ბერიძე) კონცერტები და საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობენ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სულ ახლახან, ბატონი ბადრი მაჭავარიანის ინიციატივით, დაარსდა ვოკალური ანსამბლი. ანსამბლის ხელმძღვანელად მონწილეობა ბატონი ლევან ჩხაიძე, რომლის წარმატებული საქმიანობაც მუსიკალურ სფეროში ქართველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი.

თსუ-ის კულტურის ცენტრი კვლავაც აგრძელებს ნიჭიერ სტუდენტთა ძიებას და შემოქმედებით საქმიანობას, როგორც საქართველოში, ისე - უცხოეთში. თსუ-ის რექტორის, კანცლერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის და „სამედიცინო გაზეთის“ მხარდაჭერა კი მომავალი წარმატებების საწინდარია.



გაიქანნი

სპორტის ხანძარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის ცენტრში (ცენტრის დირექტორი - ზაურ ფხალაძე) ფუნქციონირებს: კალათბურთის, მინი-ფეხბურთის, მა-

გიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, რაგბის, ბადმინტონის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, ძალისსიორის სამჭიდისა და მკლავჭიდის სპორტული ჯგუფები, ამასთანავე, სტუდენტების განკარგულებაშია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორებისა და ფიტნესის დარბაზები, რომლებიც სტუდენტთა აქტიური დასვენების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების განუყოფელი ნაწილია.

უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებზე რეგულარულად ტარდება შიდასაუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებები სპორტის ზემოაღნიშნულ სახეობებში, რომ-

ლებშიც აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ქართველი, ასევე, უცხოურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ვიტყვოდით, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის ქართველ და საერთაშორისო სტუდენტთა წარმატებების მკაფიო და თვალსაჩინო დასტურია სხვადასხვა რანგის შეჯიბრში მათი სპორტული მიღწევების შთამბეჭდავი ნუსხა.

ყოველწლიურად, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ატარებს საქართველოს „უნივერსიადას“, სადაც მონაწილეობს 45 აკრედიტებული უმაღლესი სასწავ-

ლებელი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რომლებიც უნივერსიადებში, საერთო გუნდურ ჩათვლებში, ყოველთვის საპრიზო ადგილებს იკავებენ.

სპორტის ცენტრში მოქმედებს საექიმო კაბინეტიც, რომელიც ემსახურება სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს.

იმედია, სამომავლოდ, ჩვენი სტუდენტები ისევ შეიტანენ თავიანთ წვლილს უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრების ისტორიაში და სახელოვნად გააგრძელებენ ძირძველ ტრადიციებს.